პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა,
4
აპრილი
1937 წ.
№ 77 (4878)

რას ნიშნავს — სწორად შევარჩიოთ მუშაკები და სწორად გავანაწილოთ ისინი სამუშაოზე?

ეს იმას ნიშნავს, რომ შევარჩიოთ მუშაკები, ჯერ—ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამადაამ კონკრეტული მუშაობისათვის. ი. სტალინი

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში — დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ, უმაღლეს მწვერვალებამდე აიყვანა საბჭოთა დემოკრატია, მან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მობრუნება გამოიწვია. ამ პოლიტიკურმა მობრუნებამ ჩვენს სასოფლო საბჭოებს, პროლეტარული დიქტატურის ამ ორგანოებს სოფლად, ახალი მოთხოვნები წაუყენა, ახალი ამოცანები დაუსახა.

საბჭოების არჩევნების შემდგომი დემოკრატიზაცია (ფარული კენჭისყრის შემოღება), რომელიც საბჭოთა სოფელში განუხრელად იქნება გატარებული, დაუყოვნებლივ მოითხოვს ჩვენი სასოფლო საბჭოების მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას, მათი მუშაობის ხარისხის საფუძვლიანად გაუმჯობესებას. სასოფლო საბჭო მოწოდებულია უხელმძღვანელოს საკოლმეურნეო მშენებლობას, უხელმძღვანელოს სოფლის ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ არაჩვეულებრივად გაზარდა მშრომელი გლეხობის მოთხოვნები თავისი არჩეული დეპუტატებისადმი, თავისი არჩეული საბჭოს თავმჯდომარისადმი. საბჭოთა დეპუტატებისაგან, საბჭოს თავმჯდომარისაგან ისინი სამართლიანად მოითხოვენ პასუხს კითხვაზე: „დაგვეხმარე თუ არა შენ გაგვეხადა ჩვენი შრომა ეფექტიური, ჩვენი ცხოვრება უფრო კულტურული?“ (სტალინი).

ბევრი ჩვენი სასოფლო საბჭო ვერ დგას ამომრჩეველთა გაზრდილი მოთხოვნების სიმაღლეზე. ხშირად მათი მუშაობა მხოლოდ გადასახადების აკრეფით ამოიწურება. ზოგი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მუშაობა ფინაგენტის მუშაობას უფრო წააგავს, ვიდრე სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ორგანიზატორ - ხელმძღვანელის სოფსაბჭოს თავმჯდომარის მუშაობას.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ყურადღების ცენტრში არ არის მოქცეული სასექციო და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა. ისინი ვერ აფასებენ საბჭოთა მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის მნიშვნელობას, უგულებელჰყოფენ საბჭოთა დემოკრატიას, ანგარიშს არ აბარებენ ამომრჩევლებს. კიდევ მეტი, — ისინი არამც თუ არ იბრძვიან ამომრჩეველთა დავალებების შესრულებისათვის, ზოგჯერ კეთილსინდისიერადაც არ ინახავენ ამომრჩეველთა დავალებებს, რის შედეგადაც დავალებები ხშირად იკარგება. ლუქსემბურგის სასოფლო საბჭოში (ლუქსემბურგის რაიონი) და ქოსულის სასოფლო საბჭოში (ყარაიას რაიონი) ამომრჩეველთა დავალებები დაკარგული აღმოჩნდა. აქ დაკარგულია დამატებებიც, რომელნიც ამომრჩევლებმა შეიტანეს საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს 1936 წელს.

სექციების და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა უხეიროდ არის დაყენებული ბორჩალოს, ბორჯომის, ამბროლაურის, ბაღდათის, ჩხოროწყუს და ყარაიას რაიონების მრავალ სოფსაბჭოში. მაგალითად, შაუმიანის სახელობის სასოფლო საბჭოსთან ჩამოყალიბებული 9 სექციიდან მხოლოდ ორი—საფინანსო და სამშენებლო სექციები მუშაობენ. დანარჩენი სექციები ქაღალდზე რჩება. ქოსულის და ყარათაფის სასოფლო საბჭოებში (ყარაიას რაიონი) არც ერთი სექცია არ მუშაობს. აქ დღიდან არჩევნებისა არცერთი სექცია ერთხელაც არ შეკრებილა.

უფრო სავალალოა ის მდგომარეობა, რომ ბევრმა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ არც კი იცის სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების ფუნქციები (მაგალითად, ქოსულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ხოჯაევმა), რაც გამოწვეულია მათი ხშირი ცვალებადობით, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების დენადობით, მათი სუსტი ხელმძღვანელობით რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ.

რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები, იმის ნაცვლად, რომ ეხმარებოდნენ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს მათ ყოველდღიურ მუშაობაში, ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, ხშირად მათ ხელაღებით ხსნიან. ასე ხელაღებით მოხსნის შედეგად უკანასკნელი არჩევნების შემდეგ საქართველოს სსრ-ში სასოფლო საბჭოს 1.037 თავმჯდომარიდან სამუშაოზე დარჩა 297 თავმჯდომარე, რაც 28,6 პროცენტს შეადგენს. სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების დენადობა იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ სასოფლო საბჭოში თავმჯდომარე თითქმის ყოველ კვარტალში იცვლება. მაგალითად, კაპანახჩის სასოფლო საბჭოში (ლუქსემბურგის რაიონი) უკანასკნელი არჩევნების შემდეგ გამოიცვალა 9 თავმჯდომარე.

ასე ხელაღებით მოხსნის ნიმუშს გვაძლევს წულუკიძის რაიონის აღმასკომი. წულუკიძის რაიაღმასკომი ხსნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებს „მეტად საპატიო“ მოტივებით. „სუსტი, მოუქნელი ხელმძღვანელობისათვის, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. საბჭოს მიერ არ არის გაშლილი მუშაობა პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა ახსნა—განმარტებისა, რის შედეგად სახელმწიფო გეგმიანი დავალების (ყველი, ხორცი) სამარცხვინო ჩამორჩენაა“, — ასეთია მოტივები თავმჯდომარეთა მოხსნისა და ამ მხრივ წულუკიძის რაიაღმასკომი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

სოფსაბჭოს თავმჯდომარის მოხსნა ხდება საბჭოთა დემოკრატიის უხეშად დარღვევით, ბრძანებით, განკარგულებით, სოფსაბჭოს დაუკითხავად. ამის ფაქტები აუარებელია.

ცუდად არის დაყენებული სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთა მომზადებისა და გადამზადების საქმე. 1.037 თავმჯდომარიდან გადამზადდა მხოლოდ 230 კაცი. ხშირად გადამზადებულებს არ იყენებენ ამ სამუშაოზე. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია ზოგიერთ სასოფლო საბჭოში რატომ ჩამორჩება მასობრივი მუშაობა.

სასოფლო საბჭოები სერიოზული პოლიტიკური გამოცდის წინაშე დგანან. ისინი ემზადებიან ახალი არჩევნებისათვის. კლასობრივ მტრებს არ სძინავთ. ისინი არა ნაკლებ ემზადებიან არჩევნების დროს საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა დისკრედიტაციისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ სოფსაბჭოს თავმჯდომარე „ცენტრალური ფიგურაა“ სოფლად; მისგან დიდადაა დამოკიდებული, თუ როგორი მომზადებული შეხვდება ამ სერიოზულ გამოცდას — ახალ არჩევნებს სასოფლო საბჭო. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს. სოფსაბჭოების თავმჯდომარეთა დაუსრულებელ დენადობას ბოლო უნდა მოეღოს. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ სასოფლო საბჭოს მუშაობას, უნდა გააძლიერონ მათი ყოველდღიური ხელმძღვანელობა, დაეხმარონ მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, რომ ყოველი სასოფლო საბჭო, სასოფლო საბჭოს ყოველი თავმჯდომარე მომზადებული შეხვდეს დიდ პოლიტიკურ გამოცდას — საბჭოების ახალ არჩევნებს.

ახალი დანიშვნები

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცებულ იქნა ამხ. დავით ვლადიმერის-ძე **კანდელაკი**

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცებული იქნა ამხ. მეჩისლავ ანტონის-ძე **ლოგანოვსკი**.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. კლავდიოზ ივანეს-ძე **სულთანიშვილი** დანიშნულია საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მთავრობასთან.

ციტრუსთა სამუშაოები

(მიწსახკომის 1 აპრილის ცნობებით)

რაიონები	პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	სანერგისათვის ნიადაგის მომზად. გეგმის შესრულება პროცენტობით	ციტრუსების პლანტაციებში გაშენების გეგმის შესრულება პროც.	სანერგის გაშენ. გეგმის შესრულება პროც.	ბაღების დამუშავების გეგმის შესრულება პროცენტობით	მცენ. შეწამვლის გეგმის შესრულ. პროც.
მახარაძე	108,6	100	12	58,5	51	80,2
ლანჩხუთი	132,4	161	33,3	100	111	100
ფოთი	100	100	34	36,3	145,8	100
ცხაკაია	100	100	19,6	42,5	82	100
ხობი	96,7	—	—	—	51,3	46,1
აბაშა	100	—	106,6	—	100	100
ზუგდიდი	100	100	10,5	36,3	91,3	71,5
ჩოხატაურ.	105,8	—	—	—	102,3	43,2
წულუკიძე	—	—	—	—	100	100
გეგეჭკორი	103,8	100	—	11,1	100	100
ჩხოროწყუ	113	100	—	20	96,6	100
წალენჯიხა	133,3	—	—	—	99,6	27,3
სამტრედია	206,6	—	170	—	—	100
აჭარის ასსრ	97,2	74,7	4,8	45,2	92,4	39,2
აფხაზეთის ასსრ	80,6	111,1	2,4	47,5	92	66,1
სულ	99,2	102,2	14	47,6	92,3	59,1
1936 წ. 1 აპრილს იყო	107,5	89,6	10,3	—	—	—

* * *

ხობის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებს ციტრუსების პლანტაციებში დარგვა არ დაუწყიათ. გარდა ამისა, ხობის რაიონში ჩაშალა ტრიფოლიატის თეს[illegible] [illegible] [illegible] [illegible] იყო.

კლიში ფაშისტთა მიერ მოწყობილი პროვოკაციის მსხვერპლთა დაკრძალვა

21 მარტს პარიზის ყველა მშრომელი [illegible] ფაშისტური პროვოკაციის მსხვერპლთა წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად. პროცესიაში მონაწილეობდა დაახლოვებით 1 მილიონი კაცი შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახალხო ფრონტის პარიზის კომიტეტის მეთაურობით.

სურათზე: საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სამგლოვიარო პროცესიაში. პირველ რიგში ცენტრში საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. ტორეზი.

ფოტო „სოიუზფოტოსი“

მდგომარეობა ესპანეთში

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 2 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც 1 აპრილს 22 საათზე გამოქვეყნდა:

„მადრიდის სექტორში დღეს სწარმოებდა მხოლოდ თოფებისა და მორტირების სროლა. გვადალახარის სექტორში მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღა. ჩვენმა ბატარეებმა ჩააჩუმეს მეამბოხეთა არტილერია. მთელი რიგი დამზვერავი ოპერაციების შედეგად, რაც ჩვენმა ნაწილებმა გუშინ და დღეს ჩაატარეს, ჩვენ ხელთ ვიგდეთ დიდძალი საომარი მასალა. გრძელდება გამოქცეულთა გადმოსვლა მეამბოხეთა ბანაკიდან ჩვენს პოზიციებზე. სხვა სექტორებში მდგომარეობა უცვლელია“.

პარიზი, 2 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ოფიციალურ ცნობას, რომელიც გამოქვეყნებულია დღეს შუადღისას. ცნობაში ნათქვამია, რომ გვადალახარის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარებმა წინ წაიწიეს ვილანუევის მიმართულებით.

არაგონის გზის ჩრდილოეთით რესპუბლიკელთა არტილერიამ ენერგიულად დაუშინა ყუმბარები მტრის პოზიციებს ხადრაკისა და ალმადრონესის სექტორში.

ხარამის ფრონტზე არავითარი ოპერაცია არ ყოფილა შემჩნეული.

მდგომარეობა ესპანეთის ჩრდილოეთის ფრონტებზე

ბილბაო, 2 აპრილი (საქდესი). ბისკაის ფრონტზე მეამბოხეებმა, რომლებსაც ახალი დამხმარე ძალები მოუვიდათ, დღეს დილიდანვე განაახლეს იერიშები იმ განზრახვით, რომ გაარღვიონ რესპუბლიკელთა ფრონტი გიპუსკოასა და ალავას პროვინციებს შუა მდებარე რაიონში. მეამბოხეთა იერიშებს თან სდევს ავიაციის მოქმედება. ავიაცია ყუმბარებს უშენს უმთავრესად სამოქალაქო მოსახლეობას.

გუშინ, გვიან საღამოს, მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარების პოზიციებზე არამაიონის სექტორში (ვილარეალის ჩრდილო-დასავლეთით). მაგრამ რესპუბლიკელთა ენერგიული კონტრიერიშით მეამბოხენი მოგერიებულ იქნენ.

გორბეის სექტორში (ვილარეალის ჩრდილო-დასავლეთით) მეამბოხეთა რამდენიმე ჯგუფი ღამის წყვდიადში შეიპარა რესპუბლიკელთა პოზიციებზე. რესპუბლიკელთა მოწინავე რაზმებმა, შეამჩნიეს რა მტრის ცდა, შემოუშვეს იგი თავის პოზიციებზე და შემდეგ ყოველი მხრიდან გარშემოერტყნენ.

სანტანდერის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარები ამაგრებენ იმ პოზიციებს, რომლებიც მათ ამ ცოტა ხნის წინათ მეამბოხეებს წაართვეს. რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა „ესპანეთის ფალანგის“ 2 ჯარისკაცი.

ასტურიის ფრონტზე, ესკამპლეროს სექტორში (ოვიედოს დასავლეთით) რესპუბლიკელთა არტილერიამ ააფეთქა მეამბოხეთა თოფისწამლის საწყობი. გუშინ მეამბოხეთა ავიაციამ რესპუბლიკელთა პოზიციებზე ჩამოჰყარა 10 ყუმბარა, მაგრამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა.

ასტურიელ მაღაროელებთან გუშინ გადავიდა ერთი უნტეროფიცერი და ერთი ჯარისკაცი.

ესპანეთის მთავრობის ნოტები იტალიის ინტერვენციის შესახებ

ლონდონი, 2 აპრილი (საქდესი). გუშინ ესპანეთის ელჩმა ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს ესპანეთში იტალიის ინტერვენციის დამამტკიცებელ საბუთებს. ნოტას დართული აქვს იმ დოკუმენტთა 30 ფოტოგრაფიული სურათი, რომლებიც იტალიელ ტყვეებს აღმოაჩნდათ, მათ შორის იტალიის გენერალური შტაბის დოკუმენტების, იტალიის სამხედრო სამინისტროს ბლანკზე დაბეჭდილი ორი წერილისა და მუსოლინის იმ დეპეშის ფოტოსურათები, რომელიც გაგზავნილია 13 მარტს სამხედრო გემ „პოლადან“.

ასეთივე შინაარსის ნოტა გადაეცა პარიზში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

კორდოვის ფრონტზე

პარიზი, 2 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, გრძელდება რესპუბლიკელთა წინსვლა პოსობლანკოს სამხრეთით (კორდოვის ფრონტზე). ახლა რესპუბლიკელებმა კვლავ დაიკავეს ის პოზიციები, რომლებიც მათ ორი კვირის წინათ დასტოვეს. აგრეთვე გრძელდება რესპუბლიკელთა წინსვლა, თუმცა არც ისე სწრაფად, პოსობლანკოს სამხრეთ-დასავლეთით პენიაროიისა და ბელმესის მიმართულებით. გუშინ რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს პენიაროიაში და იმავე დროს, გადმოჰყარა ფურცლები.

მთავრობის ჯარები განაგრძობენ იმ საომარი მასალის შეგროვებას, რომელიც მეამბოხეებმა დასტოვეს ალკარასეხოსიდან და ვილანუევა დელ დუკედან უკან დახევის დროს. ამ სოფლებში სხვათა შორის იპოვეს ფაშისტთა პლაკატები იტალიურ და გერმანულ ენებზე.

სეუტის ბომბარდირება

პარიზი, 2 აპრილი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარა გადმოჰყარეს ნავსადგურსა და სანაპირო ბატარეებზე სეუტაში.

გიბრალტარში ჩავიდნენ ფრანკოს წინააღმდეგ აჯანყებული ოფიცრები

ლონდონი, 2 აპრილი (საქდესი). გუშინ გიბრალტარში ნავით ჩავიდნენ მეამბოხეთა ავიაციის 8 ოფიცერი და 2 მექანიკოსი, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ აჯანყებაში ფრანკოს წინააღმდეგ. ისინი გამოიქცნენ ტეტუანიდან (ესპანეთის მაროკო).

მეამბოხენი სცლიან პენიაროიას

ბარსელონა, 3 აპრილი (საქდესი). მეამბოხენი სცლიან პენიაროიას. ინოხოსა დელ დუკეს სექტორში, პენიაროიას მიმართულებით, მტერი წინააღმდეგობას სწევს და ცდილობს შეინარჩუნოს ინოხოსა დელ დუკე — ბელმესისა და პენიაროია-პოსობლანკოს გზაჯვარედინი.

საბჭოთა კავშირში

კონკურსი საუკეთესო სკაფანდრისა და თვითმფრინავის კაბინისთვის სიმაღლეზე გასაფრენად

მოსკოვი, 3 აპრილი (საქდესი). სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის გამგეობამ გადაწყვიტა გამართოს კონკურსი საუკეთესო სკაფანდრისა და თვითმფრინავის კაბინისთვის სიმაღლეზე გასაფრენად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ცალკეულ კონსტრუქტორებს, ისე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას სკაფანდრებისა და თვითმფრინავთა კაბინების შესაქმნელად. სკაფანდრებისა და თვითმფრინავთა კაბინების მზა ნიმუშები წარდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს 1937 წლის 15 ივლისისა.

ორი საუკეთესო სკაფანდრის ავტორებს მიეცემათ ჯილდო — ერთი — 20 ათასი მანეთის რაოდენობით, მეორე — 15 ათასი მანეთის რაოდენობით. სკაფანდრის ხაზით ცალკეულ აგრეგატებისა და კვანძების წარმატებით გადაჭრისათვის აგრეთვე დაწესებულია ორი ჯილდო — 5 ათასი მანეთი თითო.

კონსტრუქტორთა და მშენებელთა კოლექტივს, რომელიც მოგვცემს თვითმფრინავის საუკეთესო კაბინს სიმაღლეზე გაფრენებისათვის, ჯილდოდ მიეცემა 15 ათასი მანეთი. თვითმფრინავის კაბინის ცალკეული ელემენტებისა და კვანძების წარმატებით გადაჭრისათვის დაწესებულია ორი ჯილდო — 5 ათასი მანეთი თითო.

სკაფანდრებისა და კაბინების შეფასება იწარმოებს სალაბორატორიო და საფრენოსნო გამოცდების შემდეგ, რომლებიც უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

საკონკურსო კომისია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ჭორშენინი (თავმჯდომარე), ლავროვი, ფილიპოვიჩი, დეიჩი, კროტკოვი, გორშკოვი, სტრელცოვი, ჩიჟევსკი, პეტროვი და ევსეევი.

მძიმეტვირთიან შემადგენლობათა წაყვანა გრაფიკით

ტულა, 2 აპრილი (საქდესი). ორდენოსან მემანქანე ოგნევის ინიციატივით ტულის დეპოში წარმატებით მიმართავენ მძიმეტვირთიან შემადგენლობათა წაყვანას გრაფიკის მიხედვით. ამხ. ოგნევმა პირველმა წაიყვანა სამათასტონიანი შემადგენლობა უფრო სწრაფად, ვიდრე ეს სა[illegible] ცხრილით.

1 აპრილს მემანქანეებმა ტეპლიაკოვმა და მალცევმა ძერჟინსკის სახელობის გზაზე უმაგალითო რეკორდს მიაღწიეს. ტეპლიაკოვმა სკურატოვიდან ტულაში წაიყვანა 4002 ტონის შემადგენლობა, ხოლო მისმა შემცვლელმა მალცევმა წარმატებით განაგრძო მარშრუტი იმავე შემადგენლობით სერპუხოვამდე.

მოსკოვ-ვოლგის არხზე

იახრომა, 2 აპრილი (საქდესი). დაიწყო წყლის გაშვება მოსკოვ-ვოლგის არხის მესამე რაზში, რომელიც არის იახრომას სადგურთან. საველოვის რკინიგზის ხაზზე. უბნის სიგრძე 16,8 კილომეტრს უდრის. სიღრმე აქ მხოლოდ მეტრნახევარი იყო. ყოველი სამი საათის შემდეგ დონე 20 სანტიმეტრით იწევს მაღლა.

ესპანელი მებაღეები

მოსკოვი, 2 აპრილი (საქდესი). 2 აპრილს ოდესიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ ესპანელი მებაღეები დიეგო გარსია, ხენარო რამირო და კარლოს მარტინი. ესპანელი მებაღეები სსრ კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოწვევით კონსულტაციისათვის ნერგების საშუალებით ზეთისხილის მოყვანის და ატმის, ჭერამის, ნუშისა და სხვა ხეხილის ახალი ჯიშების დანერგვის საკითხზე.

უახლოეს დროში ესპანელი მებაღე სპეციალისტები გაემგზავრებიან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხილის მეურნეობებში.

ბოლშევიკური პარტიის უბასრესი იარაღი

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა, ჩვენი პარტიის ისტორიაში შედის როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი. პლენუმის მუშაობა, ამხანაგ სტალინის მოხსენება წარმოადგენენ მთელი პარტიისათვის მუშაობის ლენინური მეთოდის—პატიოსანი, აშკარა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიმუშს.

ჩვენი პარტიის არსებობის ყველა წელში თვითკრიტიკა წარმოადგენდა პარტიული მოქმედების საფუძველს, პარტიის განმტკიცებისა და აღზრდის საშუალებას. მკაცრი არალეგალობის წლებშიც კი ლენინი დაუღალავად მოუწოდებდა პარტიას განეგრძო, ანტიმარქსისტების გესლიანი ხითხითისა და პრანჭვა-გრეხის მიუხედავად „თავისი მუშაობა თვითკრიტიკისა და საკუთარი მინუსების დაუნდობლად მხილებისა, მინუსების, რომლებსაც უეჭველად და აუცილებლად დასძლევს მუშათა მოძრაობის ზრდა“.

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიჩმა ეს სტრიქონები დასწერა, 33 წელი გავიდა. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ყოფილი მეფის რუსეთის მუშები და გლეხები მიიყვანა კაპიტალიზმზე მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოების წარმატებულად აშენებამდე. ჩვენი პარტია არის ხელმძღვანელი, მმართველი პარტია მუშათა კლასის დიქტატურის ქვეყანაში, სოციალიზმის ქვეყანაში. ეს ბევრად ადიდებს პარტიის პასუხისმგებლობას, აძლიერებს მკაცრი თვითკრიტიკის აუცილებლობას.

მდგომარეობის ამ თავისებურებას ამხანაგი სტალინი არაერთგზის აღნიშნავდა. სამწუხაროდ, ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ, როგორც ეს ცხადჰყო ამჟამად ცენტრალურმა კომიტეტმა, დაივიწყა ამხანაგ სტალინის მითითება. კრიტიკა და თვითკრიტიკა პატივში არ აღმოჩნდა.

ადამიანები გატაცებული იყვნენ სოციალისტური მშენებლობის სამეურნეო წარმატებებით, ხოლო იყვნენ რა გატაცებულნი, დაივიწყეს კაპიტალისტური გარემოცვა, საიდანაც ჩვენთან გზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ტერორისტებს, მიივიწყეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, შეასუსტეს ბოლშევიკური სიფხიზლე.

ბოლშევიკური მობილიზების, სიფხიზლის, დაძაბულობის ნაცვლად ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში დაიწყო უზრუნველობის, უდარდელობის, თვითკმაყოფილების, თავგასულობის გაფურჩქვნა. ეს ხალხის მტრებს—იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტთა ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მავნებლებს შესაძლებლობას აძლევდა, რომ თავისი ბნელი საქმე ეკეთებინათ.

აქტივის კრებები და პარტიული კრებები, რომლებიც ამჟამად ყველგან მიმდინარეობს, მრავალრიცხოვანი მაგალითებით ცხადჰყოფს, თუ რამდენად სწორად და დროულად ამხილეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამხანაგმა სტალინმა უდიდესი ნაკლოვანებანი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

შინაურულობის, მლიქვნელობისა და მამებლობის აშმორებულ ატმოსფეროში, რომელიც ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში იყო, შეიჭრა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ახალი სიო. ეს (ახალი) სიო ზოგიერთ თავგასულ ხელმძღვანელს არ მოეწონა. „პრავდა“ უკვე სწერდა იმაზე, თუ როგორ შეეცადნენ მოსკოვის კიევის რაიონში აქტივის კრებაზე თვითკრიტიკის „მოწესრიგებას“ და არ მისცეს სიტყვა არასასურველ ამხანაგებს. უკეთესად არ იყო საქმე ტაშკენტში, სადაც პარტიული აქტივის კრებაზე პრეზიდიუმში არ იძლეოდა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და უზბეკისტანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაკრიტიკების საშუალებას.

ამ, ისე როგორც ბევრმა სხვა, მაგალითმა უნდა გაამახვილოს პარტიის ყურადღება. თვითკრიტიკა გვჭირდება როგორც ჰაერი, როგორც წყალი, განსაკუთრებით ამჟამად. თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკიც კი სერიოზულ წინსვლაზე. თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკიც კი ბოლშევიკურ სიფხიზლეზე. ყველა, ვინც სიფხიზლეზე ლაპარაკობს და იმავე დროს არ იბრძვის თვითკრიტიკის გასაშლელად, — არის გამოცალიერებული, არაგულწრფელი ადამიანი, არანამდვილი ბოლშევიკი.

თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკიც კი კადრების ნამდვილ ბოლშევიკურ აღზრდაზე. ლენინიზმის მეთოდი მოითხოვს კადრების სწავლებასა და აღზრდას საკუთარ შეცდომებზე. ეს დაივიწყა ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა. იმის ნაცვლად, რომ გამოავლინონ ცალკეული ამხანაგების შეცდომები, გამოიტანონ ეს შეცდომები სინათლეზე და ამაზე ასწავლონ მთელ პარტიულ ორგანიზაციას, ისინი უმჯობესად სთვლიან იდუმალად გადასჭრან საკითხები, დაკმაყოფილდნენ „მამობრივი შთაგონებით“ ვიწრო წრეში. ამით ისინი იარაღს აცლიან, აღუნებენ პარტიულ ორგანიზაციას, ნერგავენ უზრუნველობას, თვითდამშვიდებას, უდარდელობას. ხბოსავით კუნტრუში და წარმატებებით დათრობა — ზოგჯერ მოჩვენებითი წარმატებებით — აჩლუნგებს პარტიის წევრთა ცოცხალ აზრს, აფერხებს მათს ბოლშევიკურ აღზრდას.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა ნიშნავს: გამოავლინო შეცდომები, გამოარკვიო მათი მიზეზები, ანალიზი გაუკეთო ვითარებას, რომელმაც შეცდომები წარმოშვა, ყურადღებით განიხილო და გამონახო მათი გამოსწორების საშუალებანი. ეს ლენინური მოთხოვნები უნდა დაედოს საფუძვლად თვითკრიტიკას, რომელიც ამჟამად ყოველმხრივ უნდა გავშალოთ.

მოიძებნებიან ხელმძღვანელები, რომლებიც პარტიის ამ მოთხოვნას უცქერიან როგორც მორიგ კამპანიას. ისინი მზად არიან კიდეც გამოვიდნენ ტრიბუნაზე და „გაითვითკრიტიკოსონ“ — ილაპარაკონ თავის ორ-სამ უმნიშვნელო შეცდომაზე და ამით თვითკრიტიკა დამთავრებულად ჩასთვალონ. ასე შეუძლიანთ მოიქცნენ იმ ადამიანებს, რომელთაც არ ესმით, თუ რას ნიშნავს პარტიული დამოკიდებულება შეცდომებისადმი.

პარტიული ხელმძღვანელები ვალდებული არიან გაცილებით უფრო გულისხმიერად, ვიდრე დღემდე, მოეკიდონ ქვემოდან — რიგითი პარტიულებისა და არაპარტიული ბოლშევიკებისგან მომდინარე სიგნალებს. უყურადღებობა სიგნალებისადმი იწვევს იმას, რომ ხალხის მტრებს უადვილდებათ შესაძლებლობა ზიანი მიაყენონ სოციალიზმის საქმეს. ამ მხრივ დამახასიათებელია კემეროვოს საქალაქო კომიტეტის მაგალითი, რომელსაც არაერთგზის მიუღია მშრომელთა სიგნალები იმის შესახებ, რომ ორგანიზაციაში მოქმედებენ ტროცკისტი ბანდიტები. საქალაქო კომიტეტმა არ მიაქცია ყურადღება ამ სიგნალებს. კიდევ მეტი, საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივანი იაკუშინი იმ ამხანაგებს, რომლებიც სიგნალს აძლევდნენ საქალაქო კომიტეტს, ბრალს სდებდა, თითქოს ისინი ძირს უთხრიან საქალაქო კომიტეტის ავტორიტეტს, სდევნიან კემეროვოს სამეურნეო ხელმძღვანელებს. კემეროვოს საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, რომელიც არაპარტიულად ეკიდებოდა მშრომელთა სიგნალებს და ახშობდა თვითკრიტიკას, დაქანდა ტროცკისტი ბანდიტებისათვის ხელშეწყობის გზაზე მათს ძირგამომთხრელ მუშაობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრები მზად არიან ჩვენი კრიტიკა საკუთარი ნაკლოვანებებისა ხშირად შეაფასონ, როგორც ჩვენი სისუსტის ნიშანი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად ღრმად სცდებიან ვაჟბატონები მტრული ბანაკიდან. 1 წლის წინათ, გამოდიოდა რა რკ (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„თვითკრიტიკა არის ჩვენი პარტიის ძალისა და არა სისუსტის ნიშანი. მხოლოდ ძლიერს პარტიას, რომელსაც ცხოვრებაში აქვს გადგმული ფესვები და გამარჯვებისაკენ მიდის, შეუძლიან მისცეს თავის თავს იმის ნება, რომ დაუშვას თავის საკუთარ ნაკლოვანებათა ის დაუნდობელი კრიტიკა, რომელიც მან დაუშვა და მუდამ დაუშვებს მთელი ხალხის თვალწინ. პარტია, რომელიც სიმართლეს მალავს ხალხის წინაშე, პარტია, რომელსაც ეშინია სინათლისა და კრიტიკისა, არის არა პარტია, არამედ დასაღუპავად განწირული მატყუარათა ხროვა“.

თვითკრიტიკა ლენინიზმის მეთოდის შემადგენელი ნაწილია. ბოლშევიკური თვითკრიტიკის წინააღმდეგ მუდამ გამოდიოდნენ ლენინიზმის მტრები, ხალხის მტრები. ტროცკისტები ცდილობდნენ შეეცვალათ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს პარტიულობის განმტკიცებას, მტრული კრიტიკით, რომელიც მიმართულია პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის ძირის გამოთხრისაკენ. ხალხის მტრებთან სასტიკ ბრძოლებში პარტიამ შეინარჩუნა ბოლშევიკური თვითკრიტიკა—ბოლშევიზმის ეს უბასრესი იარაღი. თვითეული პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია თვალყური ადევნოს იმას, რომ ამ იარაღის ფოლადი არ დაიჟანგოს, არ მოჩლუნგდეს, რომ თვით ეს იარაღი ხელიდან არ გაუვარდეს პარტორგანიზაციას. სათავეში ჩავუდგეთ თვითკრიტიკას, ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაიწყებს დევნას კრიტიკისათვის,—აი რა მოეთხოვება ამჟამად თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ ხელმძღვანელს.

„დაე პარტიამ, დაე ბოლშევიკებმა, დაე ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანმა მუშამ და მშრომელმა ელემენტმა გამოავლინონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, დაე დასახონ ჩვენ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები იმისათვის, რომ ჩვენს მუშაობაში და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს დამყაყება, ჭაობი, ლპობა, იმისათვის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითიდღე უმჯობესდებოდეს და წარმატებებიდან წარმატებებისაკენ მიდიოდეს“ (სტალინი).

„პრავდის“ მოწინავე, 3/IV

სიღნაღის რაიონის წარმატება

სიღნაღის რაიონმა დაამთავრა ქერის, შვრიის, მზესუმზირას და კარტოფილის თესვა.

დათესილია: ქერი—2028 ჰექტარზე, ნაცვლად 2000-ისა, შვრია—624 ჰექტარზე, ნაცვლად 600-სა, მზესუმზირა 6817 ჰექტარზე, ნაცვლად 6800-ისა, ხოლო კარტოფილი 754 ჰექტარზე, ნაცვლად 750 ჰექტარისა.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის დროშით!

ერევნის პარტორგანიზაციის აქტივის კრება

ერევანი, 2 აპრილი (საქდესი). 23-დან 27 მარტამდე მიმდინარეობდა სომხეთის კ. პ. (ბ) ერევნის ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებას დაესწრო ათასზე მეტი კაცი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ამატუნი.

ამხ. ამატუნის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა 4 დღეს.

კამათში გამოვიდა 43 კაცი.

თავის რეზოლუციაში ერევნის ორაგნიზაციის პარტიულმა აქტივმა სავსებით და მთლიანად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პარტიული აქტივის კრებას სავსებით სწორად მიაჩნია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილება პარტიიდან ბუხარინისა და რიკოვის, როგორც პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს მოღალატეებისა და გამცემლების, გარიცხვის შესახებ.

აქტივის კრება სთვლის, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებში და ამხანაგ სტალინის მიერ თავის მოხსენებაში აღნიშნულ უდიდეს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ადგილი აქვთ ქალაქ ერევნის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაშიც. ის გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობენ მხილებული იაპონელ-გერმანელ ტროცკისტი ჯაშუშებისა და დივერსანტების მავნებლური საქმიანობიდან, თვითეული კომუნისტის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ აყენებენ პოლიტიკური სიფხიზლის საკითხს. მთელი რიგი წლების მანძილზე სომხეთის კომპარტიაში თვალთმაქცი ხანჯიანი მოტყუებისა და პირმოთნეობის გზით ყოველნაირად აძინებდა პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლეს, მფარველობდა, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა კონტრრევოლუციური ტროცკისტების, დაშნაკებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ფაშისტურ მავნებლურ მუშაობას.

ჩვენი პარტიისა და სომეხი ხალხის მოსისხლე მტრები ა. ა. ერზინკიანი, გ. სიმონიანი, ნ. სტეფანიანი, ა. ბაკუნცი და სხვ.,—დაშნაკებისა და რამკავარების პარტიების ეს პირდაპირი აგენტები, გაერთიანდნენ რა თავის ძირგამომთხრელ მუშაობაში კონტრრევოლუციურ ტროცკისტ ბანდიტებთან, მთელი რიგი წლების განმავლობაში გამოუმჟღავნებელი რჩებოდნენ, იკავათ ხელმძღვანელი პოსტები, შესძლეს გაევლოთ შემოწმება, ზოგიერთმა მათგანმა კი—პარტდოკუმენტების გამოცვლაც. აქტივი აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა ფაქტებმა ერევნის პარტიული ორგანიზაციის (განსახკომი, მწერალთა კავშირი, საკონსერვო ქარხანა, სინტეტიკური კაუჩუკი, „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქცია და სხვ.) მუშაობაში ნათლად გვიჩვენეს, თუ როგორ იყენებდნენ პარტიის მტრები, როგორც არათავდაბლობას, ყოყოჩობას, ბაქიობას, საპარადო ხმაურს, ისე მათს თანამგზავრ მლიქვნელობასა და მაამებლობას. ერევნის კომიტეტმა და რაიკომებმა თავი მიანებეს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას, შეასუსტეს დედაქალაქის წამყვანი ორგანიზაციის მუშაობა.

აქტივი განსაკუთრებით აღნიშნავს პარტიის წესდებისა და შინაპარტიული დემოკრატიის უხეშ დარღვევას ერევნის პარტიულ ორგანიზაციებში (პირველადი პარტიული ორგანიზაციების, განსაკუთრებით სტალინის რაიონის, პარტიული კომიტეტების მდივნებს ხშირი გამოცვლა და დანიშვნა რაიკომების მიერ, პარტიული ორგანიზაციებისათვის ანგარიშების ჩაუბარებლად,—1936 წლის განმავლობაში მოხსნილ იქნენ პარტკომების მდივნები: კვების კომბინატისა—4-ჯერ, მექანიკური ქარხნისა—3-ჯერ, ხორცის კომბინატისა—3-ჯერ, ხისდამმუშავებელი კომბინატისა — 4-ჯერ, საქალაქო რაიონში — განსახკომისა—3-ჯერ, კიროვის რაიონში—პოლიტექნიკური ინსტიტუტის — 3-ჯერ და ა. შ.).

აქტივი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას—ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა მომავალი არჩევნები ჩაატარონ იმ ნიშნით, რომ ფართოდ გაშალონ ქმედი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოავლინონ ყველა ნაკლი პარტიულ მუშაობაში, ამხილონ უვარგისი, მასებისაგან მოწყვეტილი, გაბიუროკრატებული და თავგასული ხელმძღვანელები და პარტიულ ორგანოებში აირჩიონ მუშაობაში შემოწმებული, საუკეთესო და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები.

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პლენუმი

31 მარტს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. მირცხულავას მოხსენება პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

ამხ. მირცხულავას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. იგითხანოვი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), რონიშვილი (საქართველოს პროფსაბჭო), როყუა (სამედიცინო ინსტიტუტი), მიქელოვი (მიწსახკომი), გვალია (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), მაზმანოვი (კავშირგაბმულობის სამმართველო), ხობუა (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჩარუშნიკოვა („ზარია ვოსტოკა"), მაჩიტაძე (რაიკომი), ჯათიევი (სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი), კისლუხინი (რაიკომი), მანუკოვი (ავეჯის ფაბრიკა), ბარსკი (შინსახკომი), სიამაშვილი (საქვაჭრობა) და ტყეშელაშვილი (რაიკომი).

გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ პარტორგანოების მომავალი არჩევნების მომზადებაზე, რომლებიც უნდა ჩატარდეს იმ მხრივ, რომ ფართოდ გაიშალოს როგორც პირველადი პარტორგანიზაციების, ისე რაიონული კომიტეტის მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დეფექტების და ცალკეული პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების შეცდომათა ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა და კრიტიკა პიროვნებათა და წინანდელ დამსახურებათა მიუხედავად.

საარჩევნო კრებების უკეთ მომზადებისა და ჩატარებისათვის,—ამბობდნენ გამოსული ამხანაგები,—საჭიროა კარგად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის, ამხ. ჟდანოვის მოხსენებები და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიულ ჯგუფებში, ხოლო მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში—კომუნისტთა კრებებზე.

რაიონულმა კომიტეტმა გულმოდგინედ უნდა გაუწიოს ინსტრუქტაჟი პარტკომების მდივნებსა და პარტორგებს არჩევნების გატარების ტექნიკის შესახებ, აგრეთვე დაეხმაროს მათ თვით არჩევნების გატარებაში.

პლენუმმა დაადგინა პარტორგანოების ანგარიშები და არჩევნები ჩაატაროს 3-დან 20 აპრილამდე (საქდესი).

თბილისის ყველა საწარმო-დაწესებულებაში დიდი ინტერესით ეცნობიან ამხანაგ სტალინის მოხსენებას „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე".
სურათზე: ამხ. გ. კახაძე აბრეშუმის ფაბრიკის საქსოვ საამქროს მე-6 კომპლექტის მუშებს უკითხავს ამხანაგ სტალინის მოხსენებას.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი

ქალაქის რკინიგზების ტრესტის დახურულ პარტიულ კრებაზე მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა პარტიის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. კარანაძე.

კამათში გამოსვლის მსურველებმა ჯერ კიდევ მოხსენების დამთავრებამდე იწყეს ჩაწერა, ჯერ ჩაეწერა 20 ამხანაგი, შემდეგ აზრის გამოთქმის მსურველთა რიცხვმა 37 კაცს მიაღწია.

— პარტკომის მდივნები და პარტორგები ისე იცვლებოდნენ, რომ თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს არ აბარებდნენ პარტიულ ორგანიზაციას, — ამბობს ამხ. მამულაიშვილი. ფართოდ იყო გავრცელებული კოოპტაციის პრაქტიკა. უკანასკნელ გადარჩევამდე ჩვენს პარტკომში მთელი შემადგენლობა, პარტკომის მდივნის ამხ. ოგანეზოვის გამოკლებით, კოოპტირებული იყო. თვითონ მე კოოპტაციის წესით ვიყავი შეყვანილი პარტკომის წევრად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთელ პარტიას უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა — სათავეში ჩაუდგეს პოლიტიკურ მობრუნებას ქვეყნის ცხოვრებაში. პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი დაყვანილ უნდა იქნას თვითეულ კომუნისტამდე, მაგრამ ჩვენთან ტრამვაიში ჯერ კიდევ არიან ისეთი კომუნისტები (დოგუზოვი, გოდერიძე და სხვ.), რომლებიც სავსებით ვერ ერკვევიან საკ .კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში, კერძოდ არჩევნების ახალი სისტემის საკითხში. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ არ სწარმოებს საკმაო სერიოზული მუშაობა კომუნისტებთან.

— პარტიული კომიტეტი ზღუდავდა პარტიის წევრთა უფლებებს — ამბობს ამხ. ქოქოშვილი. ჩვენთან ხშირად ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატია. სუსტად არის დაყენებული სააგიტაციო მუშაობა. კომუნისტები გორგილაძე, ზეინაშვილი, ვადიაშვილი, ჯავახიშვილი და ჩიგოგიძე ტრამვაის სახელოსნოების მუშაობაზე უფრო ლაპარაკობდნენ, ვიდრე პარტიული მუშაობის საკითხებზე. კრებამ მოსთხოვა ჩიგოგიძეს, რომ მან ბოლომდე უამბოს კრებას ყველაფერი, რაც კი თავისი ტროცკისტი შვილის შესახებ იცის.

პარტიის წესდების უხეშ დარღვევაზე ილაპარაკა ამხ. მექვაბიშვილმა.

4 წელია, რაც პარტორგად ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ ჩამიბარებია ანგარიში პარტჯგუფისათვის, რამდენადაც მახსოვს, მე არჩეულიც კი არ ვყოფილვარ პარტორგად.

საამქროების პარტორგანიზატორები ხშირად სცვლიან პროფკავშირულ მუშაკთა მუშაობას.

კამათში აგრეთვე გამოვიდნენ ამხ. კაკაბაძე, რაზმაძე, პლეშნიკოვი, ხასიევი და სხვ.

ამხ. ოგანეზოვმა (პარტკომის მდივანი) აღნიშნა: კრებაზე გამოსულთა მაღალმა აქტივობამ ცხადჰყო, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ღრმად შეეხო ტრამვაის პარტიულ ორგანიზაციას.

ამასთან ერთად ამხ. ოგანეზოვმა აღნიშნა, რომ გამოსული ამხანაგები ცოტას აკრიტიკებდნენ ტრამვაის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ჩვენ გაცილებით მეტი ნაკლი გვაქვს, ვიდრე დღეს აქ აღინიშნეს.

მიღებულ რეზოლუციაში კრებამ სავსებით მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, კერძოდ, პლენუმის გადაწყვეტილება ბუხარინისა და რიკოვის პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ მათი ანტიპარტიული, მოღალატური მუშაობისათვის.

კრებამ აღნიშნა, რომ ტრამვაის პარტორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი შინაპარტიული დემოკრატიის, პარტიის წესდების დარღვევას (საერთო პარტიული კრებების შეცვლა კონფერენციებით), არადამაკმაყოფილებელია კომუნისტთა პოლიტსწავლების ხელმძღვანელობა და ა. შ. კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

პირველი საარჩევნო პარტიული კრებები

ტულა, 2 აპრილი (საქდესი). ტულაში მოხდა პირველი საარჩევნო პარტიული კრებები. მათ გვიჩვენეს, რომ პარტიული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელსა და რიგით კომუნისტებს როდი შეუთვისებიათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებანი პარტორგანოთა არჩევნების წესის შესახებ. ასე, საიარაღო ქარხნის № 11 საამქროს პარტორგანიზაციის კრებაზე არ განუხილავთ ზოგიერთი კანდიდატურა პარტკომის შემადგენლობაში.

მთელ რიგ კანდიდატებს, რომლებმაც თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, რამდენიმეჯერ უყარეს კენჭი. როდესაც მეხუთეჯერ უყრიდნენ კენჭს, ცალკეული ამხანაგები თავიანთ სიებს არ აგდებდნენ ყუთში, არამედ ხელში აძლევდნენ მათ ხმების დამთვლელ კომისიის წევრებს. ხმების დათვლა ხდებოდა იქვე, კრებაზე, და არა ცალკე შენობაში.

ბრიუსელი საბჭოთა მუსიკოსების გამარჯვებათა შთაბეჭდილებები

ბრიუსელი, 2 აპრილი (საქდესი). გუშინდელი საღამო ბელგიის დედაქალაქმა უმთავრესად კონკურსის შთაბეჭდილების ქვეშ გაატარა. ბრიუსელის ქუჩებში, კაფეებში, რადიომიმღებებთან, ტრამვაის ვაგონებში — ყველგან ლაპარაკობდნენ კონკურსის და საბჭოთა ვიოლინისტების ბრწყინვალე გამარჯვებაზე, აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ საბჭოთა მუსიკის მიღწევების გამო.

სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ბელგიაში უამრავი მისასალმებელი დეპეშა მოსდის საბჭოთა ვიოლინისტების გამარჯვებასთან დაკავშირებით. ბრიუსელის პრესა ფართოდ აქვეყნებს კონკურსის შედეგებს და აღნიშნავს საბჭოთა ვიოლინისტების მიერ მიღწეულ გამარჯვებას. „დერნიერ ერი" დღეს თავის პირველ გვერდზე ათავსებს დავით ოისტრახის ვეებერთელა პორტრეტს. „ნასიონ ბელჟ" აღნიშნავს იმ მღელვარებას, რომლითაც საზოგადოება გუშინ კონკურსის შედეგებს ელოდა.

გაზეთი „პეპლი" ათავსებს სტატიას ვიოლინისტთა საერთაშორისო კონკურსის შედეგების შესახებ სათაურით „სსრ კავშირის გამარჯვება".

„ლე სუარმა" მოათავსა ბელგიის გამოჩენილი მუსიკალური კრიტიკოსის ტინელის მეორე სტატია, მიძღვნილი კონკურსზე საბჭოთა მუსიკოსების დაკვრისადმი. ამ შემთხვევაში ტინელი დაწვრილებით ჩერდება ლიზა გილელსის და მარინა კოზოლუპოვას გამოსვლებზე კონკურსის საფინალო [illegible] ორივე ვიოლინისტ-ქალის დაკვრის შესახებ ტინელი აღფრთოვანებით ლაპარაკობს. იგი სწერს, რომ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მარინა კოზოლუპოვას დაკვირვებული და ღრმად მუსიკალური ნატურა. მისი დაკვრის თვითეული ჰანგი—აღნიშნავს ტინელი,—აღსავსეა შინაგანი აზრით, სუნთქავს სიცოცხლით და ელვარებს პოეზიით. მის მიერ იზაის პოემის და ბრამსის კონცერტის შესრულებაში ოდნავი ნაკლიც არ ყოფილა. აღტაცებას იწვევს ის გარემოება, რომ საზოგადოების ხანგრძლივ ოვაციებს იგი გულგრილად შეხვდა.

ტინელი აღნიშნავს ლიზა გილელსის დაკვრის განსაკუთრებულ ვირტუოზობას. სენ-სანსისა და იზაის „ვალსის ფორმის ეტიუდის" შესრულების დროს მან გვიჩვენა წარმტაცი და მტკიცე ტექნიკა; მის დაკვრაში მოსჩანს იშვიათი მელოდიურობა. ტინელის სიტყვით, ლიზა გილელსის ამ მუსიკალურმა თვისებებმა კიდევ უფრო მეტად იჩინეს თავი, როდესაც მან შეასრულა პაგანინის კონცერტი და იგი უნაკლო ვირტუოზობით ჩაატარა.

ბრიუსელის ფილარმონიულმა საზოგადოებამ წინადადება მისცა ლიზა გილელს და დავით ოისტრახს 15 აპრილს გამოვიდნენ კონცერტზე ბრიუსელის ხელოვნებათა სასახლის დიდ დარბაზში.

21 აპრილს იმავე დარბაზში გაიმართება ბუსია გოლდშტეინის კონცერტი.

ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა იტალიაში

პარიზი, 2 აპრილი (საქდესი). მიღებული ცნობების თანახმად, იტალიაში ძლიერდება ანტიფაშისტური განწყობილება მასებში. ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ იტალიის ხელისუფალნი ძალიან შეშფოთებული არიან. ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდისათვის ფრიად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტები, რომლებიც აქ ცნობილი გახდა. მოდენში აღმოჩენილია არალეგალური ორგანიზაცია. მთელ რიგ ქალაქებში ავრცელებენ ანტიფაშისტურ ფურცლებს. ყოველ საღამოს 11 საათზე რადიოთი გაისმის ხმა იტალიის არალეგალური კომუნისტური პარტიის წარმომადგენლისა, რომელიც ამხელს ფაშისტური გაზეთების სიცრუეს და ლაპარაკობს სიმართლეს ესპანეთის შესახებ. იტალიის კომუნისტური პარტიის ხმამ, რომელიც ყოველ სახლში გაისმის, სადაც კი რადიომიმღები სდგას, ფაშისტური ხელისუფლების უდიდესი შეშფოთება გამოიწვია. სპეციალური დანადგარი ამაოდ ცდილობს ჩაახშოს რადიოგადაცემა და ხელი შეუშალოს ასიათასობით ადამიანებს რადიოს მოსმენაში. ჟანდარმთა რაზმები დადიან რესტორანებსა და კერძო ბინებში, რათა დაიჭირონ რევოლუციონერები, რომლებიც ანტიფაშისტურ სადგურებს უსმენენ. არსებული ცნობების თანახმად, ამ დღეებში ტურინში დააპატიმრეს 200 კაცი, ვიტერბოში დააპატიმრეს 60 კაცი.

◇ ◇ ◇

მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს სხდომები

ვენა, 2 აპრილი (საქდესი). როგორც ტრანსატლანტიკ რადიოს სააგენტო იუწყება, გუშინ ბელგრადში შესდგა მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს ორი სხდომა. ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სამხრეთსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს ესპანეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე დასავლეთ-ევროპის ახალი პაქტის დადების საკითხი. ამ საკითხის შესახებ სესიაზე გამოირკვა მცირე ანტანტის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხედულებათა ერთიანობა; ისინი მოითხოვენ უშიშროების უზრუნველყოფას ევროპის ყველა ნაწილში.

მცირე ანტანტის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიაღწიეს აგრეთვე შეხედულებათა ერთიანობას ერთა ლიგის საბჭოს შემდეგი სესიის დღის წესრიგის საკითხებში, სახელდობრ — იტალია - აბისინიის კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხში.

შემდეგ მცირე ანტანტის საბჭომ დაადასტურა, რომ სამხრეთსლავია-ბულგარეთისა და იტალია-სამხრეთსლავიის ხელშეკრულებანი არ ეხებიან და არ ასუსტებენ სამხრეთსლავიის ვალდებულებებს მცირე ანტანტის მიმართ, რადგან სამხრეთსლავია რჩება ერთა ლიგისა და მცირე ანტანტის ერთგული.

◇

მტს-ების მუშაობა საგაზაფხულო ხვნა-თესვაში

მიწსახკომის 1 აპრილის ცნობებით

მტს-ები	საგაზაფხულო ხვნა		საგაზ. ნახნავ. და მძრალის გადახვნა		თ ე ს ვ ა		ფარცხვა	
	გ ე გ მ ა	გეგმის შესრ. პროც-ბით	გ ე გ მ ა	გეგმის შესრ. პროც-ბით	გ ე გ მ ა	გეგმის შესრ. პროც-ბით	გ ე გ მ ა	გეგმის შესრ. პროც-ბით
ახალქალაქის	2400	—	500	—	2000	—	1000	—
ბოგდანოვკის	1270	—	—	—	2000	—	—	—
ახალციხის	1556	44,4	792	—	650	19,1	1440	14,4
აგარის	3000	71,6	4000	15,5	1626	62,9	4800	91,8
ოსიაურის	1400	92	2790	17,5	2751	25,6	5590	39,2
გორის	4290	46,6	500	0,8	2200	2,7	7320	29
კასპის	2000	115,4	1000	32	1400	22,9	2000	16
ახალსოფლის	3040	—	800	—	1550	—	3500	—
სტალინირის	800	62,6	1000	46,2	1200	34	2000	17,4
წეროვანის	2000	55,7	1000	—	1400	1,9	2000	1,8
თბილისის	2000	100,8	500	29	400	147,5	4200	15,6
დუშეთის	1000	60,4	300	—	200	25	1000	5
საგარეჯოს	3500	71,8	1000	10	800	125,3	3200	40,6
ბორჩალოს	3586	129	1917	—	1750	—	6000	34,6
ლუქსემბურგის	1500	79,3	900	8,3	450	—	500	39,2
ყარაიას	2500	105	1500	14,5	1700	3,5	6000	50,2
გურჯაანის	2100	53,1	—	—	—	—	—	—
კაჭრეთის	2000	55,7	1000	46,8	200	165	1500	15,8
ულიანოვკის	2700	89,3	1500	37,1	2500	87,6	5000	58,5
წნორის	3961	71,4	500	15,2	1704	17,8	1888	145,8
წითელწყაროს	5217	50,7	1000	45,8	2800	53,8	6480	51,8
თელავის	3500	63,2	2000	—	—	—	3000	—
ყვარლის	2200	78,1	1800	13,7	2000	5	4000	70,1
ლაგოდეხის	1000	93,6	3000	3,8	—	—	—	—
ასურეთის	700	117,9	700	46,9	300	70	2250	11,4
ბაშკიჩეთის	1300	17,8	250	—	700	4	400	—
თიანეთის	400	31,3	1000	30	700	25,3	1500	16,3
წალკის	1100	22,8	1200	3,8	1300	—	1000	—
სულ. მარცვლ. სამართ.	62020	65,8	31850	15,1	33481	26,6	77488	33,4
ქუთაისის	2300	46,9	750	33,9	335	—	1500	17
სამტრედიის	1650	60,4	150	—	122	—	1200	1,4
წულუკიძის	1200	100,8	1000	44	122	—	5500	—
ვანის	1800	95,8	500	70	244	—	2000	4
[illegible]	1300	61,5	200	—	243	—	1000	—
აბაშის	3600	58,4	300	25,7	243	—	4800	—
ცხაკაიას	1300	86,9	300	—	365	—	1600	—
გეგეჭკორის	1800	80,8	300	33,9	243	—	1800	—
ზუგდიდის	1900	65,8	600	—	486	—	—	—
ხობის	1000	44	200	35	243	—	1200	—
წალენჯიხის	500	34,8	—	—	—	—	200	—
მახარაძის	1400	68	—	—	486	—	900	—
ლანჩხუთის	2000	61,2	—	—	365	—	—	—
გალის	1550	58,8	200	—	365	—	300	—
ოჩემჩირის	1500	44,7	700	10,9	365	—	1500	—
სოხუმის	1500	55,8	800	16,8	243	—	1500	10,7
სულ. სუბტროპ. სამართ.	25800	63,8	6000	25,7	4500	—	25000	2
სულ რესპუბლიკაში	87820	65,2	37850	16,8	37981	24,3	102488	29,5
1936 წ. 1 აპრილისათ. იყო	52275	78,4	18675	23,3	18788	21,2	57405	20,2

აკ. მახათაძე
ფ. გურგენიძე

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივნები

სტახანოვურ მოძრაობას მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია სტახანოვური მოძრაობის დანერგვისა და განვითარებისათვის.

შარშან იანვარში რაიკომის პლენუმზე განხილულ იქნა სტახანოვური მოძრაობის პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. კოლმეურნეები დიდი ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით ამუშავებდნენ და სწავლობდნენ სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას „მრეწველობის და ტრანსპორტის საკითხები სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით".

მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით, სტახანოვური მოძრაობის მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით მომზადდა ნიადაგი სტახანოველთა გამოვლინებისა და მათი რიგების შემდგომი ზრდისათვის.

მამათის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში შარშან წლის ბოლოსათვის 85 გამოჩენილი სტახანოველი იყო, ამჟამად კი 130 სტახანოველია. ამ კოლმეურნეობის წევრი, ცნობილი სტახანოველი ქონა კილაძე გასულ წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ნორმას 400-500 პროცენტით ასრულებდა. 21 ივნისს მან მოკრიფა 132 კგრ. ჩაის მწვანე ფოთოლი და ნორმა 905 პროცენტით შეასრულა, გამოიმუშავა 16 შრომადღე. მამათის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო ამხ. ქ. კილაძის მუშაობის გამოცდილების გაზიარება. კილაძე ჩაის მწვანე ფოთოლს ორივე ხელით ჰკრეფს, დაკვირვებულად მუშაობს, კარგად იცის ფოთლის კრეფის წესები. მან ეს შეასწავლა კოლმეურნე ქალებს. ამ ნიადაგზე კოლმეურნეობაში აღიზარდნენ ახალი სტახანოველები. მაგალითად, ქეთევან ჩხაიძე, რომელმაც ფართოდ გამოიყენა ქონა კილაძის გამოცდილება, ჩაის ფოთლის კრეფის ნორმას 300-350 პროცენტით ასრულებდა. 23 ივნისს მან მოკრიფა 101 კილოგრამი. თამარა კილაძე გამომუშავების ნორმებს ასრულებს 212 პროცენტით.

აცანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (ორგანიზატორი ამხ. ჩხაიძე) სისტემატურად ამოწმებს სტახანოველების მუშაობას, აწყობს გამოცდილების ფართოდ გავრცელებას ჩამორჩენილებში და ყოველდღიურ, პრაქტიკულ დახმარებას უწევს სტახანოველებს.

წითელი უბნის საშა წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (ორგანიზატორი ამხ. ანდღულაძე) პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე განიხილა საკითხი სტახანოველთა შორის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა და ბრიგადირები სტახანოველთა გამოვლინებას და მათთვის დახმარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სწორად მოიქცა პარტიული ორგანიზაცია, როდესაც კოლმეურნეობის გამგეობას მისცა მითითება გადაჭრით გააძლიეროს სტახანოველთათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა.

ცხადია, კოლმეურნეობების გამგეობები და სასოფლო საბჭოები არა მარტო უნდა აწარმოებდნენ გამომუშავების ნორმების შესრულებას შემოწმებას, არამედ ყოველდღიურად უნდა სწავლობდნენ, რა დახმარება ესაჭიროება სტახანოველებს, როგორია მათი სამუშაო იარაღები, რა უშლის მათ ხელს და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტახანოვური მუშაობის კარგ მაგალითებს უმთავრესად ახალგაზრდობა იძლევა.

როდესაც ვლაპარაკობთ სტახანოვური მოძრაობის პარტიულ ხელმძღვანელობაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, თუ როგორ მაგალითებს იძლევიან ამ შემთხვევაში თვით კომუნისტები.

მამათის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 15 წევრი და კანდიდატი, მათ შორის სტახანოველია 14. პარტიის წევრობის კანდიდატი ბ. კილაძე გამომუშავების ნორმებს 220 პროცენტით ასრულებს. იგი მუშაობს მერვე ბრიგადის ხელმძღვანელად და მისი ბრიგადა მოწინავედ ითვლება.

მანასე ჯორბენაძე (ლესის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია) საუკეთესოდ დაეუფლა სტახანოვური მუშაობის მეთოდებს. გამომუშავების ნორმებს 200-220 პროცენტით ასრულებს. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 300 კვ. მეტრისა, დღეში ბარავს 600-650 მეტრ ჩაის პლანტაციას.

გვიმბალაურის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში 5 კომუნისტიდან 3 სტახანოველია. პარტორგანიზატორი ამხ. დარიკო ფაცურია სტახანოვური მუშაობის მეთოდების გამოყენებაში თითონ აძლევს მაგალითს კოლმეურნეებს.

მაგრამ რაიონის ყველა პირველადი პარტორგანიზაცია როდი მუშაობს ასე.

ჯურყვეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია (პარტკომის მდივანი ამხ. ჭყონია) ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. კომუნისტები ვერ იძლევიან კარგ მაგალითებს. 16 კომუნისტიდან, რომელიც ამ ორგანიზაციაში ირიცხება, სტახანოველია მხოლოდ 5. პარტიის წევრი ლ. სიორიძე აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენს და დაინტერესებული არ არის რომ გახდეს სტახანოველი და ხელი შეუწყოს ამ დიად საქმეს. პ. ჭყონია (პარტიის წევრი) გამომუშავების ნორმებს მხოლოდ 20-30 პროცენტით ასრულებს, მაშინ როდესაც მას შეუძლია გაცილებით მეტი შეასრულოს და ჩადგეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა რიგებში.

პარტკომის მდივანი ამხ. ჭყონია არ დაინტერესებულა საფუძვლიანად შეემოწმებინა, თუ რა არის მიზეზი ამ სამარცხვინო ჩამორჩენისა და რა უშლის ხელს ამ საქმეს.

ს. მაჩხვარეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში ირიცხება 12 წევრი. წლის განმავლობაში პარტორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს საკითხი სტახანოველთა შორის მუშაობის შესახებ და არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ დაუსახავს იმისათვის, რომ კომუნისტები მოწინავენი და მაგალითის მაჩვენებელნი ყოფილიყვნენ.

ცხადია, ეს უაღრესად დიდი შეცდომაა, რადგან სტახანოველთა შორის მუშაობის საკითხებს თვით პარტიული ორგანიზაცია უნდა უდგეს სათავეში და უწევდეს მას ყოველდღიურ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტახანოველთა დაჯილდოვებისა და წახალისებისათვის შარშან დიდი მუშაობა იქნა გაწეული. რაიონის კოლმეურნეობებში ერთი წლის განმავლობაში დაჯილდოვებულია 618 კოლმეურნე სტახანოველი. ჯილდოს სახით გაიცა 45.000 მანეთი. სტახანოველ ქ. კილაძეს მიღებული აქვს ჯილდო 1.000 მანეთი, ვარვარა ჩხაიძეს 600 მანეთი, ციცინო თევზაძეს 450 მანეთი და სხვ.

სტახანოველებისადმი მზრუნველური დამოკიდებულება მარტო ამით არ შეიძლება ამოიწუროს. საჭიროა სტახანოველი სჩანდეს, მას იცნობდნენ, როგორც მოწინავე ადამიანს. მას უნდა ვეხმარებოდეთ იმისათვის, რომ აამაღლოს თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტა არის გაკეთებული.

რაიონის განათლების განყოფილებას მიცემული აქვს დავალება სტახანოველებზე მიამაგროს მასწავლებლები, რომ სტახანოველს, რომელმაც წერაკითხვა კარგად არ იცის, შეასწავლოს წერაკითხვა, ანგარიში და სხვა საგნები, ხოლო დაბალი განათლების მქონე სტახანოველს მისცეს საშუალო განათლება.

ჯანმრთელობის განყოფილებას მიცემული აქვს დავალება სისტემატურად შეამოწმოს სტახანოველთა ოჯახები, აღმოუჩინოს მათ საექიმო დახმარება და შეასწავლოს პროფილაქტიკური სანიტარული წესები.

სტახანოველებმა რომ მორიგი გამარჯვებები მოიპოვონ და კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ამისათვის საჭიროა ვიზრუნოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ჩვენ გადავწყვიტეთ რაიმიწგანის და მტს-ის აგრონომების საშუალებით ისე მოვამზადოთ სტახანოველები, რომ კარგად იცნობდნენ და საფუძვლიანად ერკვეოდნენ ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სხვა ტექნიკურ კულტურათა აგროწესებში. ამას ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ.

ჩვენ ვაფრთხილებდით და მითითებას ვაძლევდით ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ სტახანოვური მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით ყურადღება მიექციათ დამკვრელთა შორის მუშაობისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს ეს საქმე, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არც კი იციან, თუ ვინა ჰყავთ დამკვრელი.

ცხადია, ეს იმის შედეგია, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ დამკვრელობას, არ აწარმოებენ დამკვრელთა აღრიცხვას, მათ გამოვლინებას, დაჯილდოვებას და წახალისებას. ეს საკითხი მთელი სერიოზულობით დავაყენეთ პარტიული ორგანიზაციების წინაშე და დარწმუნებული ვართ, რომ დამკვრელთა შორის მუშაობა აუცილებლად გაუმჯობესდება. ცხადია, ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე ბევრი დამკვრელი მუშაობს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოვლინებული.

დიდი გამოცდილება, რომელიც სტახანოვური მოძრაობის გაშლაში გვაქვს, იმის თავდებია, რომ 1937 წელს ეს საქმე კიდევ უფრო დიდი აღმავლობით წავა წინ.

საგაზაფხულო სამუშაოები

სთესავენ დაგვიანებით და უხარისხოდ

(ხაშური, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხელსაყრელი ამინდები, მუშახელის, ტრაქტორებისა და ცოცხალი გამწევი ძალის საკმაო რაოდენობა— ყოველივე ეს სრულ შესაძლებლობას ჰქმნიდა იმისათვის, რომ ხაშურის რაიონს ვადაზე და ხარისხოვნად დაემთავრებინა საგაზაფხულო თავთავიან კულტურათა თესვა. მაგრამ აქ ვერ გამოიყენეს არსებული საშუალებები, ოპერატიულად ვერ უხელმძღვანელეს ადგილებს და ამიტომ თესვის გეგმის შესრულებაც ჩამორჩა.

თავთავიან კულტურათა თესვის ვადად საქართველოს სახკომსაბჭოს 21 თებერვლის დადგენილებით ხაშურის რაიონისათვის 1 აპრილი იყო დაწესებული. ეს ვადა უკვე გავიდა. მიუხედავად ამისა, მარტო ხორბალი და ქერი კიდევ დაუთესავია 1.500 ჰექტარზე. (ხორბლის თესვის გეგმა შესრულებულია 44,3 პროცენტით, ქერისა — 81,5-ით). დიდათ ჩამორჩენილია აგრეთვე შვრიის, ბალახისა და ბოსტნეულის თესვაც.

რაიონში არიან სოფლსაბჭოები, რომლებიც ხვნა-თესვის დაჩქარებისათვის თავს არ იწუხებენ და აშკარა უდარდელობას იჩენენ. მაგალითად, გვერძინეთის სასოფლო საბჭოში გეგმით გათვალისწინებული 182 ჰექტარიდან 1 აპრილისათვის თავთავიანი კულტურები მხოლოდ 23 ჰექტარზე იყო დათესილი. კერძოდ ერთპიროვნულ მეურნეობებში თესვის გეგმის შესრულება 7 პროცენტს არ აღემატებოდა. მუხილეთის სოფლსაბჭოში 242 ჰექტარიდან დათესილია 6 ჰექტარი, იმერხევისაში — 343 ჰექტარიდან 37.

ჩამორჩენილია ხვნაც. გეგმით გათვალისწინებული 7.613 ჰექტარიდან 1 აპრილისათვის რაიონში მოხნული იყო სულ 5.117 ჰექტარი. კერძოდ ცხრამუხის სოფლსაბჭოს საგაზაფხულო ხვნის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 26,7 პროცენტით, სურამისას — 21,2-ით, ტეზრისას — 35,3-ით.

ძალიან იგვიანებს თესვა განსაკუთრებით ერთპიროვნულ მეურნეობებში. მათ 1 აპრილისათვის დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 162 ჰექტარი, რაც გეგმის 3,9 პროცენტს არ აღემატება. აბანოს, აბისის, ახალსოფლის, ავლევის, ალის, ბრეთის, ზღუდერის, ხვედურეთის, მოხისის, სურამის, ლუდის, ცოცხნარას, წრომისა და ნაღვლის სოფლსაბჭოებში 1 აპრილისათვის, ე. ი. თავთავიან კულტურათა თესვის ვადების გასვლის შემდეგაც კი, ერთპიროვნულ მეურნეობებს თესვა დაწყებულიც არ ჰქონდათ (24 სოფლსაბჭოდან ამ რიცხვისათვის თესვა დაწყებული იყო მხოლოდ 4-ში).

ბევრ კოლმეურნეობას ახლაც აკლია ხორბლისა და ქერის თესლი. არის უკონდიციო თესლის თესვის შემთხვევებიც. მაგალითად, სოფ. ბერძენაულის კოლმეურნეობამ თესლის უქონლობით 70 ჰექტარის ნაცვლად ქერი 60 ჰექტარზე დათესა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბაგრატ ნოზაძემ, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები დანაკლისის შესავსებად, 20 ჰექტარზე ტრიერში ნარჩენი, სრულიად უვარგისი თესლი დასთესა. სოფ. წვერის მეორე კოლმეურნეობას ჯერაც არ დაუთესია ხორბალი გეგმით გათვალისწინებულ 4 ჰექტარზე.

— ხორბლის თესლი სრულიად არა გვაქვს და ვერც დავთესავთო— დამშვიდებით აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიგო რგვალიშვილი.

წვერის მეორე კოლმეურნეობაში თესლის უქონლობით ვერც ქერის თესვის გეგმა შეასრულეს (56 ჰექტარიდან დათესეს 46 ჰექტარი). ფიგის თესლი ბელლის მავნებლებისაგან არის დაზიანებული და სრულიად უვარგისია. გაუწმენდავია უგრეხელის თესლიც. მის ვარგისიანობაზე აქ არც ლაბორატორიის დასკვნა მოეპოვებათ.

დოლლაურის კოლმეურნეობამ ქერის თესვა დაამთავრა ისე, რომ 21 ცენტნერი თესლი, რომელიც გაწმენდას მოითხოვდა, განმეორებითი შემოწმებისათვის საკონტროლო ლაბორატორიაში არ წარუდგენია. გომისა და ქვენატკოცის კოლმეურნეობებმა ლაბორატორიაში შესამოწმებლად გადარჩეული თესლის ნიმუში მიიტანეს, ხოლო ის თესლი, რომელიც უნდა დათესილიყო, დროზე არ გაწმინდეს.

სოფ. ჩორჩანას, კნოლების, ცერონისის, ატოცის, ზემო-აძევისის, პატარა სატივის, სათივის, ბულბულისციხის, რკინისწყაროს, არცევისა და იმერხევის კოლმეურნეობათა მიერ შესამოწმებლად წარდგენილი ქერის თესლი 306 ცენტნერის რაოდენობით მთლიანად უკონდიციო აღმოჩნდა. უკონდიციო აღმოჩნდა აგრეთვე აბისის, ტახტისძირის, კეხისჯვრის, დიდი ხავლეთის, ქვედაელბაქიანთკარის, ორთუბნისა და ტაშისკარის კოლმეურნეობათა 153 ცენტნერი ხორბლის თესლი.

რაიმიწგანი არ ღებულობს საჭირო ზომებს უკონდიციო თესლის გადაცვლის დასაჩქარებლად და ადგილებს კონტროლს არ უწევს, რომ ბოლო მოეღოს უვარგისი თესლის თესვას.

ხაშურის რაიონში არიან მოწინავე სოფლსაბჭოები და კოლმეურნეობები (ქარელი, ოსიაური, ქვიშხეთი, ვაყა და სხვ.), რომლებიც ვადაზე, ხარისხოვნად და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, მაგრამ ეს ვერ ჰფარავს იმ დიდ ჩამორჩენას და გარღვევებს ხვნა-თესვაში, რაც გამოწვეულია დანარჩენი სოფლსაბჭოებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა აშკარა დაუდევრობით.

ხაშურის რაიმიწგანის გამგეს ამხ. ქსოვრელს, ოსიაურისა და აგარის მტს-ების დირექტორებს ამხ. შილოკაძესა და ლომთათიძეს მეტი მუშაობა ჰმართებთ, რომ ეს სერიოზული ჩამორჩენა, დაუდევრობა საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმის შესრულებაში დაჩქარებით იქნას გამოსწორებული. რაიკომმა და რაიაღმასკომმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან.

ტ. აცანელი.

◇ ◇ ◇

ნარინჯოვანთა ყოველ ძირს—მზრუნველობა!

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ჩვენ ყველა სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტების, მუშებისა და მუშა-ქალების ყურადღებას მივაპყრობთ ნარინჯოვან კულტურათა მეურნეობაში არსებული ყველა ნაკლოვანების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ, ამ მიმართულებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილების მთლიანად განხორციელებისაკენ",

სწერდნენ ჩაქვის, ახალშენის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველები, მებაღე-მუშები და სპეციალისტები საქართველოს ნარინჯოვანი და სხვა სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ყველა სტახანოველს, მებაღე-მუშებს, აგრონომებსა და აგროტექნიკოსებს თავიანთ მიმართვაში 23 თებერვალს.

ეს მიმართვა მიიღო საბჭოთა აჭარისა და ორდენოსანი საქართველოს ყველა სუბტროპიკულმა საბჭოთა მეურნეობამ. თავის მხრივ ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი დაძაბული ენერგიით იბრძვის მიმართვაში აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

გაივლით ახლა ამ მწვანე, მხატვრულად მოქარგულ გორაკებზე შეყოლილ პლანტაციებში და ჰგრძნობთ უდიდეს მზრუნველობას ნარინჯოვანთა ყოველი ნარგავისადმი და ჩაის ყოველი ბუჩქისადმი.

რა არის აქ გაკეთებული დღეისათვის?

ტერასების შესწორება შესრულებულია გადაჭარბებით. წყალსაწრეტი არხების გაყვანა, 5000 მეტრის ნაცვლად, შესრულებულია 6000 მეტრზე, ნარინჯოვანთა ტაფების გაფართოება — 100 პროცენტით. ძირებზედ შემოლობვა — 80 პროცენტით, ახალი ტერასების გაკეთება — 114 პროც., ევკალიპტის პირველი პიკიროვკა — 107 პროც., ნარინჯოვანთა ტანის შეთეთრება და წამლობა — 100 პროც., გადაბარვა და სასუქის შეტანა — 80 პროცენტით.

ამხ. ლ. ბერიას მითითებს წაფუძველზე ყველა ნარიჯოვანს, რომელსაც წვიმისაგან ერეცხებოდა ძირები, უმაგრებენ ნიადაგს ლობებით და ავსებენ მიწით.

როდესაც ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშები ღებულობდნენ მიმართვას, პრეზიდიუმის წევრმა, სტახანოველმა — ქალმა შურა ზადურიანმა შეიტანა წინადადება, რათა მარტში მეურნეობაში ჩატარებულიყო სტახანოვური ერთთვიური. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული და მარტში სამაგალითოდ შესრულდა ყველა სამუშაო. ამხ. ჰანუყვაძის სტახანოვურმა ბრიგადამ მარტის სტახანოვური გეგმა შეასრულა 25 მარტისათვის.

ამ დღეებში დამთავრდება მეურნეობის მუშათა ყველა ბინის შერემონტება. შეძენილია 200 რკინის საწოლი, ლეიბები, თეთრეული და სხვ.

ახალშენის ნარინჯოვანთა საბჭოთა მეურნეობა წელს საბჭოთა ქვეყანას ჰპირდება ოცი მილიონ ცალ მანდარინს, ორასი ათას ცალ ლიმონს, ასორმოცდაათიათას ფორთოხალს და ასი ათას სხვა ნარინჯოვანთა ნაყოფს, 110 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს თითო ჰექტარზე მოსავლიანობის 2580 კილოგრამამდე აყვანით.

შ. ფურცხვანიძე

№ ქართული ლეგიონის ყოფილი წითელარმიელი ამხ. ბოგვერაძე მუშაობს თბილისის ტრამვაის სახელოსნოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად; იგი დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით. ამხ. ბოგვერაძემ შეიტანა წინადადება, რომელიც აჩქარებს ფრეზერის მოწყობას 18 წუთიდან 1,5 წუთამდე, რაც დიდ ეკონომიას იძლევა.

ფოტო ბუდეშტსკისა, „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

ნავთის მხდელ სტახანოველთა ახალი მიღწევები

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების საატმოსფერო-ვაკუუმის ფოსტერის სისტემის დანადგართა სტახანოველებმა ამხ. ცეცხლაძემ, ხარჯველაძემ, ქურაველიძემ და ორდენოსანმა მემედ ფალავამ ამ დღეებში მიაღწიეს სტახანოვური მუშაობის კიდევ უფრო მაღალ ნორმებს.

სტახანოველმა ოპერატორმა ამხ. ქურაველიძემ 26 მარტს, სერგო ორჯონიკიძის სახელობის ვახტზე ყოფნისას, მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს გამჭვირვალე პროდუქტების გამოხდაში; ღუმელის გათბობის თითო კვადრატული მეტრიდან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 720 კილოგრამისა, მიიღო 830 კილოგრამი გამჭვირვალე პროდუქტები. მეორე დღეს აქ მოეწყო სტახანოვური დღე-ღამე, რომლის განმავლობაშიც ყველა ოპერატორმა სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია.

მესამე დღეს, ღამის ცვლაში, მუშაობის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორმა ორდენოსანმა მემედ ფალავამ გვიჩვენა კიდევ ახალი რეკორდი გამჭვირვალე პროდუქტების გამოხდაში. თავის ცვლაში მან ღუმელის გათბობის თითო კვადრატული მეტრიდან მიიღო 880 კილოგრამი გამჭვირვალე პროდუქტები.

მნიშვნელოვან მიღწევებს ვხედავთ აგრეთვე ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების სამექანიკო-სარემონტო განყოფილების საზეინკლო და საქვაბე საამქროებში. აქ ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. აქაურმა სტახანოველებმა შორს გაუსწრეს გამომუშავების ძველ ნორმებს. სტახანოველმა ხარატმა კოსტკინმა ნავთსაქაჩი ნაწილების დამზადებაში ორმაგად გადააჭარბა გამომუშავების ნორმებს. ხარატმა ეფრემოვმა ნავთსაქაჩის ნაწილები გაჩარხა 31 საათში, ნაცვლად 50 საათისა; კომკავშირელმა კისელიოვმა განმანაწილებელი მილების სარქველები დაამზადა 14 საათში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28 საათისა.

ზეინკალ მარუშინის ბრიგადამ აიღო ვალდებულება ტურბინების სამუშაოები შეესრულებინა 54 საათში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 95 საათისა, ნამდვილად კი ეს სამუშაო 52 საათში შეასრულა.

ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების სტახანოველები სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლაშქრობაში დღითიდღე ახალ-ახალ რეკორდებს ამყარებენ.

ექსპონატები ლაგოდეხიდან

შრომის სწორი ორგანიზაცია, ნიადაგის საუკეთესოდ შერჩევა, მძრალად მოხვნა, გაწმენდა-გაფხვიერება, მინერალური და ორგანული სასუქების დიდი რაოდენობით შეტანა, მწკრივად თესვა ხარისხიანი შერჩეულ-შეწამლული თესლით, თავის დროზე მორწყვა, გათოხნა, მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა, მოსავლის უდანაკარგოდ აღება—აი ის ღონისძიებანი, რაც საფუძვლად უდევს მოსავლიანობის გადიდებას.

ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმაც თავიდანვე შესაფერი ყურადღება მიაქციეს მოწინავე აგროტექნიკას რაც შეიძლება ფართოდ დანერგვას, ყველა საუკეთესო ღონისძიებას დროულად გატარებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

ამის შედეგია, რომ ორდენოსანი საქართველოს როგორც სხვა რაიონებში, ლაგოდეხშიაც სწრაფად იზრდება მაღალი მოსავლის ოსტატთა რიგები, ათასობით ითვლებიან კოლმეურნენი, რომლებმაც უმაღლეს საკავშირო მაჩვენებლებს გადააჭარბეს.

ავიღოთ სიმინდის კულტურა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კოლმეურნეები აქ ჰექტარზე 20—30 ცენტნერამდე მოსავალს იღებდნენ. წელს კი, იმ დროს, როცა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატისათვის დაწესებულია 25—30 ცენტნერი, აფენის სოფლის საბჭოს ახალსოფლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვალ. თაბაგარი) ჰექტარზე საშუალოდ 47,53 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთზე 70—80 ცენტნერიც.

აღსანიშნავია, რომ ახალსოფლის კოლმეურნეობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს მელიორატიულ ღონისძიებებს. ერთერთ უბანზე აქ 8 ჰექტარი ნიადაგის ამოშრობითა და შესაფერი დამუშავებით პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ბ. ლაბაძე) ჰექტარზე 64,8 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, მეორე ბრიგადაში (ერმ. გოგოლაძე)—67,8, მესამეში (არტ. ხუციშვილი)—81,56 და მეოთხეში (სამ. ღვალაძე)—75,82 ცენტნერი.

საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ამავე სოფ. საბჭოს კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნაშიაც"—ჰექტარზე 45,6—60,9 ცენტნ. სიმინდი მიიღეს.

კარგი მუშაობის შედეგია ისიც, რომ სოფელ ვაშლოვანის (ლაგოდეხის სოფ. საბჭო)— [illegible] ჰექტარზე მიიღეს 70 ცენტნერი სიმინდის მოსავალი, თამარიანში (კაროვის სახელ. კოლმეურნეობა— თავმჯდომარე ჰ. ლელიუკი)—61.22.

კოლმეურნეთა მუყაითი შრომით სწრაფად გაიზარდა თამბაქოს, პურის, მზესუმზირას და სხვა კულტურების მოსავალიც. ულიანოვკის სას. საბჭოს კოლმეურნეობა „წითელ არმიელში" (თავმჯდომარე დან. ქუტკოვი) 15 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 23 ცენტნერი თამბაქო მიიღეს, სოფ. ჩადუნიანში (კოლმეურნეობა „დროშა", — თავმჯდომარე პლ. ფედორენკო)—20 ცენტნერი და ასე ბევრგან.

ასეთივე მდგომარეობაა პურის მაღალი მოსავლის საქმეშიაც—ნაცვლად 20 ცენტნერისა ულიანოვკის სოფ. საბჭოში კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" ნაცვლად 20 ცენტნერისა 28,97 ცენტნერი პური მიიღო; მზესუმზირაც 10—12 ცენტნერის ნაცვლად, სოფ. ვაშლოვანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", (თავმჯდომარე ლადო ჰაჰაშვილი) მიღებულია საშუალოდ 28 ცენტნერი.

ასეთი მაგალითები ლაგოდეხის რაიონში მეტად ბევრია, მაგრამ, რაც მთავარია, ამ წარმატებებით აქ როდი კმაყოფილდებიან.

— მივაღწევთ მოსავლის კიდევ უფრო სწრაფად გადიდებას, ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას, მაღალი მოსავლის მიღებაში საკავშირო რეკორდს დავამყარებთ, — გაბედულად აცხადებენ აქ გამარჯვებათა ოსტატები, კოლმეურნეობების, სოციალისტური მინდვრების მოწინავე ადამიანები, რომლებმაც იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი და ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ნამდვილი სტახანოვური მუშაობა.

უდავოა, პირველ რიგში საგაზაფხულო თესვის წარმატებით დამთავრება გვიჩვენებს, თუ წელსაც რამდენად სერიოზულად ჩასჭიდეს აქ ხელი სარეკორდო მოსავლის მიღების საქმეს—ამ უაღრესად სერიოზული სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანას.

ტრ. თოდრაძე

◇ ◇ ◇

დამკვრელებს ივიწყებენ

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მთელი რიგი ქარხანა-მაღაროების ხელმძღვანელები დამკვრელებს ჯეროვნად არ აფასებენ. ამიტომაა, რომ მათი რიცხვი წარმოებაში ძალიან მცირეა.

ლენინის სახელობის მაღაროში უბნის გამგეები და ცვლის უფროსები არ აწარმოებენ დამკვრელთა მოცდენების სისტემატურ აღრიცხვას. ამ მაღაროს პირველი უბნის პირველი ცვლის (უფროსი კუპატაძე) დამკვრელი იასონ დავითიძე ყოველდღიურად 14-15 ტონა მარგანეცს ანგრევდა. 14 მარტს დავითიძემ, ვაგონების მიუწოდებლობის გამო, ერთი ტონის მეტი ვერ მოანგრია. განა ეს ხელისშეწყობაა? ამ მაღაროს ხელმძღვანელებმა ისიც კი არ იციან, თუ რამდენი მუშა გახდა დამკვრელი, ან რამდენი ჩადგა სტახანოველთა რიგებში.

სტალინის სახელობის მაღაროშიც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. აქ მეორე უბნის მესამე ცვლაში მომუშავე დამკვრელები ნიკ. დეკანოიძე, გერვასი ფხალაძე, კალისტრატე და სერგო ცუცქირიძეები სისტემატურად სცდებიან ვაგონების მიუწოდებლობისა და ფენის ცუდად აფეთქების გამო.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს პირველი უბნის № 5 სანგრევზე მომუშავე დამკვრელ სიმონ მახათაძეს (მნგრეველი) აფეთქებული მადნის სიმცირის გამო მეორე სანგრევზე უხდება გადასვლა. ასევე არანორმალურ პირობებში მუშაობს დამკვრელი ისაია მჭედლიშვილიც.

მარგანტრესტის მექანიკური სახელოსნოს დამკვრელები უზრუნველყოფილნი არ არიან საცხოვრებელი ბინებით, რის გამო ადგილი აქვს მუშათა დენადობას. როდემდის გაგრძელდება ეს დანაშაულებრივი დაუდევრობა?

კ. ბურჯიძე.

ი. ბალახაშვილი

ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის მთელ მანძილზე სახელგანთქმულ სამოციანელის კალამი საცენზურო არტახებით იყო შებოჭილი.

მართალია, ჯერ ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სკამზე მჯდომი ილია ჭავჭავაძე ახლახან აღმოჩენილ ლექსში სწერდა:

რაგინდ ცენზორი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ცენზორი
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.
მინდა ვსთქვა, კალამი მომე,
ცენზორო დასტური მომე.
მონება კაცთ არ შეშვენის·
ქრისტეა ამის მოწამე.
. . . . .
ჰე, ძმანო ვიყვეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ცენზორი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით.

მაგრამ ცენზორი და ცენზურა თუ „ვერ აშინებდა" მწერალს, სამაგიეროდ ხშირად ძალიან ბევრს „აკლებდა" მის ნაფიქრსა და ნააზრევს.

თქმულის სისწორეში დასარწმუნებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ ილიას ავტოგრაფებსა და ნაბეჭდ თხზულებებს.

დავიწყოთ პოემა „აჩრდილით".

ეს პოემა ილიას დაუწერია პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის დროს, 1858—1859 წლებში. საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში (ყ. წ.-კ. გ. ს. ფ. № 4995) ინახება ილია ჭავჭავაძის ხელით გადათეთრებული ხელნაწერი პოემისა, დათარიღებული 1859 წლის 29 იანვრით. ილიამ 1859 წელსვე სცადა პოემის დაბეჭდვა. 1859 წლის ჟურნალ „ცისკრის" დეკემბრის ნომერში კიდეც გამოაქვეყნა ერთი ნაწყვეტი, მაგრამ დანარჩენი ადგილები ცენზურამ არ გაუშვა.

1859 წლის დასასრულს ილიამ ზოგიერთი სტილისტური ხასიათის შესწორება შეიტანა ამ პოემაში, რითაც უფრო გაამახვილა პოემის პოლიტიკური კონცეპცია.

1860 წელს ილია ჭავჭავაძემ განიზრახა ცალკე წიგნად გამოეცა პოემის ეს მეორე ვარიანტი ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის" თარგმანთან ერთად, მაგრამ განზრახულის სისრულეში მოყვანა კვლავ საცენზურო პირობების გამო გაჭიანურდა. 1862 წლის აპრილში ილია წერილში პეტერბურგიდან ილია წინამძღვრიშვილისადმი (რომელსაც ჰქონდა მინდობილი წიგნის მეთვალყურეობა) სწერდა: „...ერთი წიგნი მომწერე, ჩემი აჩრდილი და ჰაჯი-აბრეკი რა ყოფაში არიან". [1]

ყოველგვარი ღონისძიება ამაო იყო. პოემა საცენზურო კომიტეტის ნებადაურთველობის გამო არ დაიბეჭდა.

უფრო გვიან, 1863 წელს, როცა ილიამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე", მან მოახერხა მხოლოდ გამოექვეყნებინა ამ პოემის XXIV, XXVI და XXVII თავები, ისიც ცენზურის მიერ დასახიჩრებულ-დაჩეხილი.

„საქართველოს მოამბის" დახურვიდან 12 წლის შემდეგ 1871 წელს დაარსებულ ჟურნალ „კრებულში" დაიწყო ილიამ ბეჭდვა თავისი „აჩრდილისა", რომელიც ამ თორმეტი წლის განმავლობაში მან საგრძნობად გაადიდა, გადაამუშავა და ამგვარად მისცა მას მესამე ვარიანტის სახე.

პოემა „აჩრდილის" ეს მესამე ვარიანტი იბეჭდებოდა ჟურნალ „კრებულში" ორი წლის განმავლობაში (1872 წ. № 8-9, 10-12, 1873—№ 1, 2, 5-6).

ცენზურამ ასეთი ხასიათის ოპერაცია გაუკეთა პოემას. მეცხრე თავი ამოიღო მთლიანად.

ცენზორის მიერ ამოღებულ მეცხრე თავში ილია ლაპარაკობს იმაზე, რომ ის გმირი, რომელსაც შეეძლო დაეხსნა საქართველო რუსეთის თვითმპყრობელობისაგან, აღარ იბადება, რადგან „გმირის დამბადი დიდი საგანი" ახლა „სპობილა და წარყმენდილაო". ილია სწუხს, რომ ქართველი არისტოკრატია „გადასდგომია ქართველობას" და უღირს შვილთა მიერ „გმობილი" საქართველო „უცხო კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა".

მეშვიდე თავიდან ცენზურის მიერ ამოშლილია უკანასკნელი ცამეტი სტრიქონი. მეთექვსმეტე თავიდან ამოგდებულია შემდეგი სტრიქონები:

მთავრის ღიმილზე — პატრონნებს,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

მეთვრამეტე თავიდან ამოგდებულია უკანასკნელი ოთხი სტრიქონი:

ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწვოდა,
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,—
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივე დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

მეხუთე, მეშვიდე, მერვე და მეთხუთმეტე თავებიდან ცენზურის მიერ ამოღებულია ცალკეული სტრიქონები და ფრაზები.

1872 წლის შემდეგ ილიამ კვლავ განაგრძო „აჩრდილზე" მუშაობა, დაუმატა მას ისტორიული ნაწილი— ცხრა თავი.

პოემის მეორე ნაწილიდან ცენზურამ ამოშალა ოთხი თავი (XXII, XXIII, XXIV, XXV), პოემის პირველ ნაწილიდან: მეთექვსმეტე თავის უკანასკნელი სამი სტრიქონი. მეთორმეტე თავიდან ცენზორის მიერ ამოგდებულია მეათე სტრიქონი: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება".

მეთხუთმეტე თავიდან ცენზორის მიერ ამოშლილია მესამე და მეოთხე სტრიქონები:

მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.

იმავე ცენზურული პირობების წყალობით, დაკარგულია პოემის ოცდამეორე და ოცდამესამე თავები. რას ეხებოდა პოემის ეს ორი თავი, დღემდე უცნობია.

იგივე ბედი ეწია „კაკო ყაჩაღს". 1860 წლის დეკემბრის 11-ს პეტერბურგში დასრულებული პოემა „კაკო ყაჩაღის" დაბეჭდვა ილიამ წელთა განმავლობაში ვერ შესძლო, ვიდრე პოემა ცენზურამ არ „შეარბილა" ზოგიერთი ადგილების ამოშლით და ავტორი „რამდენიმე დათმობაზე" არ წაიყვანა.

თვითონ ილია ჭავჭავაძე აი რას სწერდა 1862 წელს პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს (რომელიც იმხანად თავის ცნობილ „ჩონგურის" მასალებს ჰკრებდა): „რამდენიმე სურათი" ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ ვიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდაც მანდ რომ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს" [2].

არანაკლებ დაზარალებულია პოემა „ქართვლის დედა". იმისათვის, რომ ეს თხზულება ილიას როგორმე გამოექვეყნებინა, მან მას რამდენჯერმე შეუცვალა სახელი. საცენზურო და არავითარი სხვა მოტივით პოემის პირველ ნაბეჭდს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „დრამული ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან ოსმალოებთან ომის წინ" [3] ხოლო, როცა ეს თხზულება ხელმეორედ დაიბეჭდა „ივერიაში", მას ასეთი სახის განმარტება ახლავს: „ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს" [4].

საქართველოს მუზეუმში ინახება დასახელებული პოემის ავტოგრაფი, სადაც პოემის ქვესათაური ასეა წარმოდგენილი: „სცენა მომავალი ცხოვრებიდან". ავტოგრაფ № 4993-ის ქვესათაური მთლიანად შეესაბამება პოემის შინაარსს, სადაც არის მოწოდება მომავალში საქართველოს გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ცენზურის მიერ განსაკუთრებით დამახინჯებული იყო ხსენებულ პოემაში დედის მონოლოგის დასაწყისი სტრიქონები. ჟურნალ „კრებულში" ეს ადგილი დაბეჭდილია ასე:

„ჩემი მამული საყვარელი დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი ჰფიქრობს, ხალხი მოქმედებს,
. . . . [5]
დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება"

ხოლო „ივერიაში" და „ქართველთა ამხანაგობის" გამოცემაში ეს ადგილი გადმოცემულია ამგვარად:

ჩემი მამული საქართველო, დღეს მიცოცხლდება,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,
ერთი ზღვიდამა მეორემდე ერთ ფიქრსა ფიქრობს,—
და ეგ ფიქრია ჩვენი ქვეყნის თავისუფლება!
დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ტექსტი უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი, მასში მაინც არის ცენზურის მიერ „გასწორებული" ადგილები. ილიას ავტოგრაფში ეს ადგილი ასეა:

ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება.

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა ილიას პოემებიდან და ლექსებიდან, მაგრამ ზემოთ დასახელებული მაგალითებიც საკმარისად ადასტურებენ ნათქვამს.

O

გადავიდეთ პროზაზე.

დავიწყოთ „მგზავრის წერილებით". ეს მოთხრობა ილიას დაწერილი აქვს 1861 წელს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ საცენზურო მიზეზთა გამო მისი დაბეჭდვა მთელი ათი წლის განმავლობაში არ მოხერხდა. იგი გამოქვეყნდა მხოლოდ 1871 წლის ჟურნალ „კრებულის" მე-2 და მე-5 ნომერში, მაგრამ ცენზურის მიერ საშინლად დამახინჯებულ-დასახიჩრებული.

მოთხრობის დასაწყისში ფრაზის „ერთის სიტყვით ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირს"-ს შემდეგ ცენზურის მიერ გამოტოვებულია შემდეგი მეტად საინტერესო ადგილი: „სიტყვამ რევოლუცია არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლუცია დაწყნარების სათავეა. ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმენდება ხოლმე". [6]

ცენზურის მიერ ამ მოთხრობაში „შესწორებულია" ორმოცამდე ადგილი. ხანდახან ილია თვითონ შლის „სახიფათო" ადგილებს, ხოლო ცენზურაში „გატარების" შემდეგ კვლავ აღადგენს მათ. „მგზავრის წერილების" დასასრულში სიტყვებიდან: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი" სიტყვებამდე: „ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი" ჯერ ამოშლილია და ილია ჭავჭავაძის ხელით მიწერილია გვერდზე: „ცენზურს სუნის აღება სცოდნია, მერე ეს ამოშლილი ადგილი აღდგენილია და ილიას ხელითვე მიწერილია: „უნდა" [7].

1894 წელს ჟურნალ „მოამბეში" დაბეჭდილი მოთხრობა „უცნაური ამბავი" ცენზურის მიერ დასახიჩრებული სახით გამოქვეყნდა.

საქართველოს მუზეუმში დაცულ ავტოგრაფ № 5017-სა და მწერალ თედო სახოკიას მიერ მკვლევარ პავლე ინგოროყვასადმი გადაცემულ „მოამბის" ილიასეულ ეგზემპლარიდან ჩანს, თუ რა სახის ოპერაციები უწარმოებია მასზე ცენზურას. ასე, მაგალითად: მეოთხე თავის დასასრულში სიტყვებიდან: „ძალიან გაჭირვებული საქმე უნდა ასჩენოდა, რომ ამირინდოს გაებედნა ქალაქში ჩასვლა. ქალაქი ჭირივით ეჯავრებოდა", — სიტყვების მერე ცენზორის მიერ ამოგდებულია შემდეგი ადგილი: „და ხშირად იტყოდა: ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ველარსად დამინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადუგდიათო".

ასევე ულმობელი იყო ცენზურა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული და პუბლიცისტური ხასიათის წერილებისადმი.

ილიას „ივერიაში", რომელსაც კავკასიის საცენზურო კომიტეტი ერთ თავის წლიურ მოხსენებაში ახასიათებს როგორც „ოპოზიციის ორგანოს", [8] 1883 წლის 18 ივლისის ნომერში ცენზორმა აკრძალა ი. ჭავჭავაძის ფელეტონი „შინაური მიმოხილვა". [9]

1882 წელს „ივერიაში" დაბეჭდილი წერილიდან: „კატკოვის პასუხად" მეფის ცენზურის მიერ ამოშლილია შემდეგი ადგილები: სიტყვების „როცა ბეზღობა, — ეგ უბიდური მაღლონე გაცვეთილის კაცისა, აირახდილი დაიარება, არამც თუ უსირცხვილოდ, თავმომწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარს" — შემდეგ ამოგდებულია: „მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოების წყობის საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოვებულიაო". იმავე წერილში ცენზურის მიერ ამოღებულია სამი ადგილი.

თუ ჭაბუკი ილია ამბობდა „ჩვენ ცენზორი ვერას დაგვაკლებს თვისის ბრმა წინასწარ ხედვითო", რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ილია საყვედურის კილოთი შენიშნავდა: „თქმაც ძნელია, იმიტომ, რომ წყლით გვისვებენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით - გამოკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი ვესერს მოიტეხს". [10].

ისეთი აზრებისა და იდეების გამომხატველ თხზულებათა წერისათვის, რომლებთანაც, როგორც ვნახეთ, მეფის ცენზურას გამუდმებული ბრძოლის წარმოება სჭირდებოდა, ილია ჭავჭავაძემ მონარქიული ხელისუფლებისაგან მიიღო შესაფერისი დახასიათებაც.

ეს დახასიათება მეტად ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი 1894 წლის მაისის პირველის თარიღით:

„იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი — სწერია „მოხსენებაში", — რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს". [11].

„პრავდამ" ილია ჭავჭავაძეს სავსებით სამართლიანად უწოდა „XIX საუკუნის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე".

მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრული სახით მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს წარსდგა მშრომელი მასის წინაშე.

---

[1] იხ. მწერალთა მუზეუმში ილია ჭავჭავაძის არქივი, საბუთი, № 58.

[2] წერილის დედანი ინახება ქუთაისის მუზეუმში კ. ლორთქიფანიძის არქივში.

[3] იხ. ჟურ. „კრებული", 1871 წ., № 3.

[4] იხ. დასახ. ჟურნ. 1879 წ., № 7-8.

[5] ცენზურის მიერ ორი სტრიქონი ამოშლილია. ი. ბ.

[6] იხ. საქ. მუზ. პალ. გან. ხელნაწერი № 5016.

[7] იხ. ი. ჭავჭავაძის „ნაწერების სრული კრებული", ტ. II, 1926 წ. გვ. 328.

[8] იხ. ქ. რაჭველიშვილი, „ქართული სტამბის წიგნი", 1934 წ. გვ. 99.

[9] იხ. პ. ჯუღუშვილი, „ქართული წიგნი", 1929 წ. გვ. 232.

[10] იხ. ი. ჭავჭავაძის „ნაწერების სრული კრებული", 1927 წ. ტ. VI, გვ. 74.

[11] იხ. „თვითმპყრობელობა და რევოლუცია", 1930 წ. გვ. 95, 96.

ბათუმის ლენინის სახელობის საჩვენებელი საშუალო სკოლა ერთერთი საუკეთესო სკოლაა ქალაქში. სკოლასთან ჩამოყალიბებულია საჭადრაკო - საშაშო, ნორჩ კონსტრუქტორთა, მსროლელთა და სხვა წრეები, რომლებშიაც მოწაფეები აქტიურად მუშაობენ. სურათზე: ბათუმის ლენინის სახელობის საშუალო სკოლის მე-5 კლასის ფრიადოსანი მოწაფეები — პიონერები თეიმურაზ გორგაძე და გრიგოლ ბროძელიძე.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გერმანელი მფრინავის იძულებითი აღიარება

ამ სათაურით „ვეჩერნაია მოსკვაში" მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა:

ამ დღეებში „ვერმანის" ფირმის გემით ესპანეთიდან ჰამბურგში ჩაიდა 280 გერმანელი დაჭრილი ჯარისკაცი. მათ შორის ბევრია მფრინავი. ანტიფაშისტური ბიულეტენის „დეილი ინფორმაციონერის" (პარიზი) კორესპონდენტმა მოახერხა ერთერთ დაჭრილ მფრინავთან საუბარი. ამ მფრინავის სიტყვით, ესპანეთის მთავრობის თვითმფრინავები საათში ანვითარებენ 500 კილომეტრამდე სისწრაფეს; ხარისხითა და ტექნიკური უპირატესობით ისინი მნიშვნელოვნად სჯობნიან გერმანიის თვითმფრინავებს. ბიულეტენს მოჰყავს ამ მფრინავის ნაამბობი მისი მონაწილეობის შესახებ საჰაერო ბრძოლაში.

„ჩვენ ავფრინდით „იუნკერსის" სამი სამმოტორიანი თვითმფრინავით. დავალებული გვქონდა ჩამოგვეყარა ყუმბარების ტვირთი მადრიდზე. ჩვენს მანქანებს ბაქანზე ჰყავდათ ოთხ-ოთხი კაცი. მადრიდიდან ჯერ კიდევ შორს ვიყავით, ჰაერში რომ შევნიშნეთ რესპუბლიკელთა გამანადგურებელი. ჩვენ არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ პატარა თვითმფრინავს, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მან დიდი სიმაღლიდან დაგვიწყო სროლა, ჩვენ გავადიდეთ მანძილი ჩვენს ყუმბარმზიდებს შორის.

რესპუბლიკელთა მფრინავი წარმოუდგენელი სისწრაფით შეიჭრა ჩვენს ორ ყუმბარმზიდს შორის და დაცხრილა მათი ბენზინის ბაკები. ცეცხლმოდებული ჩვენი ყუმბარმზიდები დაეშვნენ დაბლა. იტალიის გამანადგურებლები, რომლებიც ჩვენ უნდა მოგვყოლოდნენ, ჯერ კიდევ არ სჩანდნენ; მე მიზანშეწონილად ვცანი უკან დაბრუნება.

მალე ჩვენ დაგვიწყეს სროლა დაბლიდან. ჩვენი მოწინააღმდეგე კვლავ გვდევნიდა. ჩემი თვითმფრინავი ერთიანად დაცხრილული იყო მისი ტყვიამფრქვევით, მეთვალყურე და მექანიკოსი მოჰკლეს. რადგან ერთერთი ჩემი მოტორი დაზიანებული იყო, მე იძულებული გავხდი დავშვებულიყავი. დაშვებისას თვითმფრინავი მთლიანად დაიმსხვრა. ჩემი ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი თანამგზავრი გაისრისა, ხოლო მე ამ ჯოჯოხეთიდან გამოვედი სერიოზული ჭრილობებით. საჰაერო ბრძოლაში, რომელიც გაგრძელდა არა უმეტეს 20 წუთისა, ჩვენ დავკარგეთ სამი მძლავრი მანქანა და 11 კაცი მოკლული. ჩვენს მოწინააღმდეგეს ჩვენი ერთი ტყვია მაინც თუ მოხვდა, ეს ვეღარ გავიგეთ".

◇

ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში

ქუთაისში სწარმოებს მინერალური საღებავების გიგანტის—ლიტოპონის ქარხნის მშენებლობა.

ლიტოპონი თეთრი მინერალური საღებავია, რომელიც იხმარება სამღებრო საქმეში, რეზინისა და საავიაციო მრეწველობაში.

მოთხოვნილება ლიტოპონზე, როგორც კომუნალური მშენებლობისათვის დამხმარე საშენ მასალაზე, დღითიდღე იზრდება. ამ გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სწარმოებს ორი მინერალური საღებავების კომბინატის მშენებლობა: ჩელიაბინსკისა და ქუთაისის ლიტოპონის ქარხნებისა.

ლიტოპონის ქარხნისათვის საჭირო ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ბარიტი (იღებენ ქუთაისის მახლობლად), გოგირდოვანი თუთიის კონცენტრატები (მოიპოვება ზანგეზურის რაიონში), გოგირდმჟავა (რომელსაც ქარხანა მიიღებს ალავერდის ქარხნისაგან).

ამგვარად, ლიტოპონის წარმოებისათვის საჭირო ყველა ძირითადი ნედლეული მოიპოვება ამიერკავკასიაში. აქედან მთავარი მასა (ბარიტი და ქვანახშირი). მოიპოვება ქუთაისის მახლობლად. შუქგამძლე ლიტოპონის დამამზადებელი ქიმიური კომბინატის წლიური საპროექტო სიმძლავრე იქნება 15 ათასი ტონა და შუქგამძლე ლიტოპონის გამომუშავების მხრივ იგი ყველაზე მძლავრი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. კომბინატში იმუშავებს 700 მუშა.

ქუთაისის ქიმიურ კომბინატის მშენებლობას ჯერ კიდევ არ მიუღია ფრიად საჭირო აპარატები, რომელთა დაგვიანებით მიღება საფრთხეში ჩააყენებს ქარხნის დროზე ამუშავებას.

ქარხნის ადმინისტრაციამ ამ აპარატების დროზე შეძენასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ტექნიკური კადრების მომზადებას, რადგან ლენინგრადის ლიტოპონის ქარხანაში მივლინებული 4 კაცი ვერ დააკმაყოფილებს ქარხნის მოთხოვნილებას. ქარხანას ექსპლოატაციის დროს დასჭირდება 15 ინჟინერი.

ქიმკომბინატი ამუშავდება წელს მეოთხე კვარტალში.

აკ. გრიგოლაშვილი.

◇ ◇ ◇

ლისის ტბის მიდამოების გამწვანება

თბილისის საკურორტო სამმართველოს სატყეო კულტურის განყოფილება 2 აპრილს შეუდგა მუშაობას ლისის ტბის მიდამოების გასამწვანებლად. გასამწვანებლად გამოყოფილი ნაკვეთი, სივრცით 14 ჰექტარი, მდებარეობს ტბის იმ სანაპიროსთან, სადაც უნდა გააშენონ პავილიონი და საბავშვო ნავსადგური. ნერგების დიდი ნაწილი უკვე მიღებულია. ეს ნერგები დამზადებულია ნაწილობრივ აჭარაში და ნაწილობრივ სამეგრელოში. აჭარიდან უკვე მიიღეს 2 ვაგონი და სამეგრელოდან 3 ვაგონი ნერგი. ნერგების დიდი ნაწილი 2-3 მეტრის სიმაღლეა.

ნერგების დარგვა ერთ კვირაში დამთავრდება.

ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის

საიუბილეო კომიტეტის სხდომა

3 აპრილს საქ. განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. ჭყუასელის თავმჯდომარეობით შესდგა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს ილიას ნაწარმოებთა პირველი და მეორე ტომის აკადემიური გამოცემათა გეგმა. განიხილეს აგრეთვე ილიას შემოქმედების დასახასიათებლად კრებულის გამოცემის თემატიური გეგმა.

კრებულში შეტანილი იქნება შემდეგი თავები: ილიას მსოფლმხედველობა, ილიას მხატვრული შემოქმედება, ილია — პოეტი, ილია — პროზაიკოსი, ილია, როგორც ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი, ილია — კრიტიკოსი, ილია — პუბლიცისტი და ილია და ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა.

ამხ. გ. ჭყუასელმა კომიტეტის წევრებს გადასცა საინფორმაციო ცნობა ილიას ძეგლის აგებასა და ილიას ნაწარმოებთა საფუძველზე სამუსიკო ნაწარმოებთა დამუშავებაზე. ახალგაზრდა მოსკოველი კომპოზიტორი ლალინოვი, რომელიც მუშაობს „კაკო ყაჩაღის" ლიბრეტოზე ახალი ოპერის დასაწერად, უკვე ჩამოვიდა თბილისში. ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან გამოყოფილია სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გაეცნობა ლალინოვის ნამუშევარს და თავის დასკვნებს წარუდგენს კომიტეტს უახლოეს დღეებში.

ილიასთვის ძეგლის აგების საკითხი ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: ძეგლის პროექტების დასამუშავებლად საჭირო წინასწარი მუშაობა სწარმოებს, ხოლო ძეგლის ასაგები ადგილი საბოლოოდ არაა შერჩეული.

შემდეგ კომიტეტმა განიხილა ილიას ნაწარმოებთა რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემის საკითხი. ამ საკითხზე კომიტეტი მოლაპარაკებას შეუდგა გამომცემლობა „გოსლიტიზდატთან" და „ინოსტრანი რაბოჩისთან". მოლაპარაკების შედეგების საჩქაროდ გამორკვევის მიზნით, კომიტეტმა გადასწყვიტა მიავლინოს თავისი წარმომადგენელი მოსკოვში.

დასასრულ კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ილიას იუბილესათვის მზადების პერიოდში მასობრივი მუშაობის გეგმა (მოხსენებებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობა ადგილებზე). აღნიშნული გეგმა, რომელიც კომიტეტს წარუდგინა მწერალთა კავშირმა, დამტკიცებულ იქნა მცირე ცვლილებებით.

◇

საკურორტო სეზონის წინ

ბინები თბილისის მახლობელ კურორტებზე

თბილისის საკურორტო სამმართველოში მიღებული ცნობებით, თბილისის მახლობელ კურორტებზე (მანგლისი, კოჯორი, წყნეთი) ოთახების დაქირავების მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე გასულ წლებში.

ოთახების განაწილება დამთავრდება აპრილის ბოლოსთვის.

საბავშვო საზაფხულო კლუბი კოჯორში

კოჯორში საბავშვო სანატორიუმის მახლობლად შეუდგნენ საბავშვო საზაფხულო კლუბის აგებას. კლუბს ექნება პორტატული კედლები, რომლებსაც გახსნიან კარგ ამინდში, ხოლო წვიმასა და ქარში კი კვლავ გაუკეთებენ. კლუბთან მოეწყობა საბავშვო გასართობთა დარბაზი, თვითმოქმედების კაბინეტი, სოლარიუმი, საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკა და საბავშვო თეატრის დარბაზი.

კლუბის აგება ჯდება 250.000 მანეთად. კლუბი გაიხსნება 15 ივნისიდან.

საგზურები საბავშვო სანატორიუმებში

დაწყებულია განაცხადების მიღება თბილისის მახლობელ კურორტებზე საბავშვო სანატორიუმებში საგზურების შესაძენად (ერთთვიანი საგზური ღირს 500 მანეთი). ყოველთვიურად გაიცემა 400 საგზური. ამჟამად სწარმოებს სანატორიუმების რემონტი, რაც დამთავრდება ივნისისთვის.

სანატორიუმებში სეზონი გაიხსნება 15 ივნისიდან.

◇

საჭადრაკო ტურნირი მარკეიტში

ლონდონი, 1 აპრილი (საქტასი). მარკეიტში საჭადრაკო ტურნირის მეორე ტურში ფაინმა მოუგო ვერა მენჩიკს, ტომასმა ტეილორს, ბიურგერმა ალიოხინს. ალექსანდერ-ფოლტისის და კერეს-მილნერბარის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დღეს გათამაშებულ გადადებულ პარტიებში კერესმა მოუგო ვერა მენჩიკს 45 სვლაზე, ხოლო ფოლტისმა მილნერბარის.

ხელოვნების მუშაკთა სახლი

მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ მოკლე ხანში გაიხსნება ხელოვნების მუშაკთა თბილისის სახლი, რომელსაც დათმობილი აქვს დიდი, ამ მიზნით კარგად მოწყობილი შენობა მახარაძის ქუჩაზე, მომიჯნავე პატარა ბაღთან ერთად.

ხელოვნების სახლში არის დიდი დარბაზი ესტრადით, სადაც მოხდება თბილისისა და მოგასტროლე თეატრების არტისტთა გამოსვლები და ხალხური შემოქმედების ნიმუშთა წაკითხვა-განხილვა, აგრეთვე ოთახები საწრეო მუშაობისათვის, ბიბლიოთეკა დიდძალი წიგნებით ხელოვნების საკითხებზე და სხვ.

მაისის განმავლობაში ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო არტისტების, ორდენოსნების ა. ვასაძის და ა. ხორავას ორი შემოქმედებითი საღამო, შოთა რუსთაველის საღამო და ბალეტის საღამო. სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე თბილისის გარნიზონის ნაწილთა მეთაურ-პოლიტშემადგენლობის შეხვედრა ხელოვნების მუშაკებთან, ნაწილების ბანაკებში წასვლის წინ.

აპრილში ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზებში გაიხსნება ხალხური შემოქმედების გამოფენა.

◇

სადოღე ცხენები

მაისის დამდეგს მოსკოვში გაიხსნება ცხენთაშენი ქარხნებიდან თავმოყრილი საუკეთესო ცხენების საკავშირო საგაზაფხულო გამოცდა (დოღი), რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ცხენთაშენი ქარხნების ცხენებიც.

სულ საქართველოდან იგზავნება 16 წმინდასისხლიანი ჯიშის ცხენი. მათ შორის არიან: „ბალდათი" (4-წლის ულაყი), რომელმაც გასულ წელს საკავშირო დერბში მეორე ადგილი დაიჭირა, „რაინდი" (3 წლის ულაყი), რომელმაც შარშან ერთი საპატიო ადგილთაგანი დაიჭირა მოსკოვის დოღში. 2 წლის ცხენების დოღში მონაწილეობის მისაღებად პირველ პრეტენდენტებად იგზავნებიან „გიგო", „შავგული" და „ნატანები".

ზაფხულის თბილმა დღეებმა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურის პარკში მრავალი ბავშვი მიიზიდა. **სურათზე:** ბურთის თამაში პიონერთა პარკში.

ფოტო რ. აკოფოვისა.



სურათზე: საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კონსტრუქციის მოძრავი სასკრეპერო დანადგარი მუშაობის დროს.

მარგანეცის გამოღებისა და გამოზიდვის მექანიზაცია

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ხელოვნების კათედრა პროფ. წულუკიძის ხელმძღვანელობით გასული წლის მეორე ნახევრიდან ჭიათურის მაღაროებში აწარმოებს საცდელ სამუშაოებს მარგანეცის გამოღებისა და გამოზიდვის მექანიზაციის დარგში.

დღემდე ჩატარებული ცდების შედეგად შემუშავებულია ორიგინალური კონსტრუქციის სასკრეპერო დანადგარი და გადაცემულია საექსპლოატაციოდ. ასეთი მოწყობილობით 3 მუშას ლავიდან გამოაქვს და სტვირთავს ცვლაში 80—110 ტონა მადანს; მუშის ნაყოფიერება ხელით ტვირთვასთან შედარებით გაზრდილია ორნახევარ-სამჯერ. ეკონომია ერთ სანგრევზე უდრის დაახლოვებით 80 მანეთს (43 პროცენტი).

ამჟამად კათედრა აწარმოებს მეტად საინტერესო ცდებს გაყელვაზე და მომნგრევი ჩაქუჩის მუშაობაზე მფეთქი სამუშაოების გამოუყენებლად. ამ ხერხით მუშაობა მოგვცემს დიდ ეკონომიას, აგრეთვე შემცირდება დანაკარგები, აიწევს სასაქონლო პროდუქციის ხარისხი, შემცირდება საფრთხე და ძლიერ გაუმჯობესდება მაღაროს განიავება.

ინსტიტუტის მიერ ადგილობრივ მივლინებულია ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა: დოც. რ. ჯიქია (ბრიგადის უფროსი), ასპირანტები: დ. გელაშვილი, შ. შეყლაშვილი, ნ. ზაბოიარკინი და სტუდენტი-დიპლომანტი ვ. თოდუა.

ბრიგადა ჩაბმულია საკავშირო კონკურსში.

◇

ს პ ო რ ტ ი

ფრენბურთელთა გუნდების საქალაქთაშორისო ამხანაგურ შეხვედრათა შედეგები

1 აპრილს თბილისის ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში დამთავრდა ლენინგრადისა და მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებისა და ერევნის სასპორტო საზოგადოება „მშენებლის" ფრენბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა თბილისის საუკეთესო გუნდებთან. შეხვედრა სამ დღეს გაგრძელდა.

ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა მოიგო ოთხივე შეხვედრა თბილისის გუნდებთან. იმავე ინსტიტუტის მამაკაცთა გუნდმა სამი შეხვედრა წააგო და ერთი მოიგო (თბილისის საზოგადოების „მშენებლის" გუნდთან).

დამარცხებით დამთავრდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მამაკაცთა გუნდის გამოსვლა. სამივე შეხვედრაში მათთან თბილისელები გამოვიდნენ გამარჯვებულები დიდი უპირატესობით.

ცუდად თამაშობდნენ აგრეთვე ერევნის სასპორტო საზოგადოების „მშენებლის" მამაკაცთა და ქალთა გუნდები. ოთხივე შეხვედრა წააგეს მათ თბილისელებთან.

ჩატარებულ შეხვედრებში განსაკუთრებით ისახელეს თავი თბილისის სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს" და „ელვის" გუნდებმა, რომელთაც სრულიად დაუმარცხებლად ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრები (საქტასი).

◇

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

„ბურევესტნიკი" თბილისი—ბელორუსიის სამხედრო ოლქი. 1:2

2 აპრილს თბილისში ჩამოსულმა ბელორუსიის სამხედრო ოლქის გუნდმა ჩაატარა პირველი მატჩი — „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ.

თამაში მეტად მკრთალი და მოსაწყენი იყო. სტუმრებს აკლდათ ტექნიკაც და სისწრაფეც, მაგრამ ვერც თბილისელებმა შესძლეს რაიმე დადებითის ჩვენება. პირველი ტაიმის ბოლოს ლობჟანიძემ შეაგდო პენალტი, ხოლო მეორე ტაიმში წითელარმიელებმა ორი გოლი გაიტანეს და 2:1 მოიგეს თამაში.

„ბურევესტნიკს" ძალიან დიდი ხანია არ უთამაშია, რამაც რასაკვირველია თავი იჩინა. საშემოდგომო სეზონის მიღწევებს შემდეგ გუნდს თამაში დავიწყებია. სუსტი იყო, სხვათა შორის, ჩახუნაშვილი, რომელიც ოდესღაც თავდასხმის წამყვან ძალას წარმოადგენდა. თამაში უხეში იყო. არაზუსტად სჯიდა ორეხოვი.

დღეს, 4 აპრილს ბელორუსიის სამხედრო ოლქის გუნდი ითამაშებს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან.

დ. ვ.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

თაღლითობის მსხვერპლი. ამ რამდენიმე დღის წინათ მოქ. ნ. ნ. სანამიანთან (ამოს ქუჩა, № 6), პლეხანოვის პროსპექტზე მივიდა ვინმე უცნობი და შესთავაზა მას აბრეშუმის ჩულქი, „შემთხვევის გამო", წყვილი 3 მანეთად. ჩულქების გამყიდველმა თავი დაასახელა უცხოელად, რომელიც თითქოს ჩამოჰყვა გემს და ეს გემი ახლა დასატვირთად დგას ბათუმის ნავსადგურში. სანამიანმა იყიდა მისგან ერთი წყვილი ჩულქი. ამ დროს „უცხოელთან" მივიდა მეორე სათვალეებიანი უცნობი, გაუკვირდა ჩულქის ასე იაფად გაყიდვა და მანაც იყიდა ჩულქი. ამის შემდეგ ჩულქის გამყიდველმა ჯიბიდან ამოიღო რამდენიმე ცალი ბრილიანტი და წინადადება მისცა სანამიანს ეყიდნა მისგან ეს ბრილიანტი შედარებით იაფად. მოქ. სანამიანს ეჭვი შეეპარა შეძლეული ბრილიანტების სინამდვილეში, მაგრამ უცნობმა, რომელმაც „უცხოელისაგან" ჩულქი იყიდა, წინადადება მისცა მას ყველანი წასულიყვნენ ერთერთ მის ნაცნობ „იუველირთან", რომელიც გამოარკვევდა ძვირფასი ქვების სინამდვილეს. სამივენი წავიდნენ ამ „იუველირთან".

პლეხანოვის პროსპექტზე ისინი შევიდნენ ერთერთი სახლის შესავალ კარში და იქ შეხვდნენ „იუველირს", რომელმაც ლუპით გასინჯა „ძვირფასი ქვები", სცნო ნამდვილ ბრილიანტებად და შეაფასა 8.000 მანეთად. ამის შემდეგ „იუველირმა" განაცხადა, რომ მას თვითონ სურს იყიდოს ეს ბრილიანტები, მაგრამ ამ წუთს თან არა აქვს ფული. მეორე „მყიდველსაც" ფული არ აღმოაჩნდა, ხოლო გამყიდველს არ უნდოდა დაეცადა, სანამ ისინი ფულს იშოვნიდნენ. მოქ. სანამიანს ჯიბეზე აღმოაჩნდა სულ 100 მანეთი ფულად და ოქროს ბეჭედი, რომელიც მას ხელზე ჰქონდა. მაშინ „იუველირმა" და მისმა მეგობარმა წინადადება მისცეს სანამიანს მიეცა ეს ბეჭედი და ფული ორ ბრილიანტში, რაზედაც „უცხოელი" დასთანხმდა. „იუველირმა" და მისმა მეგობარმა აღუთქვეს სანამიანს, რომ ამ ორ ბრილიანტს რამდენიმე საათის შემდეგ ისინი იყიდდნენ მისგან 2000 მანეთად, და შეუთანხმდნენ მას, რომ შეხვდებოდნენ დათქმულ ადგილას. სანამიანმა მიიღო ორი ქვა, მაგრამ მყიდველები აღარსად სჩანდნენ არც იმ დღეს, არც შემდეგ დღეებში. შემოწმებისას „ბრილიანტები" უბრალო შუშა აღმოჩნდა.

31 მარტს მოქ. სანამიანი ქუჩაში შეხვდა ერთერთ თაღლითს და მილიციელის დახმარებით დააკავა. იგი ის აღმოჩნდა ვ. ქ. პოლიაკი, განსაზღვრული პროფესიის არმქონე და, მისი სიტყვით, კიროვაბადიდან ჩამოსული. გაჩხრეკისას მას ჯიბეში უპოვნეს ძლიერ სუსტი ოპტიკური ძალის სათვალეები, რომლის საშუალებით პოლიაკი იკეთებდა არართულ გრიმს და თავს ასაღებდა ბრილიანტების შემთხვევით მყიდველად. დანარჩენი თაღლითების მოსაძებნად მიღებულია ზომები.

◇

კ რ ე ბ ე ბ ი

დღეს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებაში (ფურცელაძის ქ. № 3. განათლების მუშაკთა სახლი) დოც. სერ. მაკალათია წაიკითხავს მოხსენებას: „მეგრული დადები და შელოცვები". შესვლა თავისუფალია.

კ ი ნ ო

„უკანასკნელი ღამე"

1917 წლის [illegible] ლენინისა და მისი საუკეთესო [illegible] ამხანაგ სტალინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა გამარჯვებული პროლეტარიატი. ქუჩებში მებრძოლთა წითელი დროშები აღიმართა წარწერით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს".

მოსკოვი ჯერ კიდევ ბრძოლის ცეცხლშია გახვეული. ირგვლივ არემარეს ალმური ასდის, კაკანებენ ტყვიამფრქვევები, გრიალებენ ქვემეხები, ქუჩებსა და სახლებს ზანზარი გააქვთ. მოსკოვის პროლეტარიატი გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება. იმართება ბარიკადები. რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილოვი მებრძოლთა ხელმძღვანელებს დავალებას აძლევს. მოხუცი მუშის ზახარკინის ოჯახი გიმნაზიელ კუზმას გარდა ბრძოლაშია ჩაბმული.

პარტიის დავალებით ლენინგრადიდან მოსკოვში მიდის აჯანყებულთა ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის ბოლშევიკი მეზღვაური პეტრე ზახარკინი. უკანასკნელი ღამეა. დედაქალაქში გადამწყვეტი ბრძოლაა. ამ ბრძოლაში უნდა გაწყდეს იმპერიალისტური ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლი. თეთრებს იერიშით მიაქვთ ერთერთი სტრატეგიული პუნქტის ბრიანსკის ვაგზლის დასაკავებლად.

პეტრე ზახარკინი მიხაილოვის რთულ ამოცანას ბრწყინვალედ ასრულებს. მას ხალისით მიჰყვებიან ჯარისკაცები. პეტრეს ორი ძმა მოუკლეს, მაგრამ მისი ნებისყოფა არ დრკება, ის გარნიზონის ნაწილს წინ მიუძღვის ბრძოლაში.

აჯანყებულები პეტრე ზახარკინისა და მიხაილოვის ხელმძღვანელობით აიღებენ თეთრებისაგან დაკავებულ ბრიანსკის ვაგზალს და თეთრებს შეიპყრობენ. ვაგზალში მატარებლით წითელი მებრძოლები მოვიდნენ, ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ, სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ასეთია „მოსფილმის" ახალი კინოსურათის „უკანასკნელი ღამის" შინაარსი. რეალური ამბავი, ფართო მასებისათვის გასაგები, ადამიანთა ცოცხალი და დამაჯერებელი სახეების მოცემა, სინამდვილის სწორად ასახვა—აი რა ახასიათებს ამ შესანიშნავ ფილმს.

სცენარი დაწერილია ი. რაიზმანისა და ე. გაბრილოვიჩის მიერ. რეჟისორი—რაიზმანი, ოპერატორი—დ. ფელდმანი, კომპოზიტორი—ვაპრეკი.

მშვენიერია აქტიორთა თამაში. დაუვიწყარია მსახიობი დოროხინი მეზღვაურ ბოლშევიკის პეტრე ზახარკინის როლში. ლირიკული და მიმზიდველია დამსახურებული არტისტი პელცერი მოხუცი ზახარკინის როლში. მაღალ დონეზე სდგას მსახიობ გრიბკოვის (მიხაილოვი), დამსახ. არტ. რიბნიკოვის (ლეონტიევი), ვერესლოვის (ალექსი ლეონტიევი), ტ. ოკუნევსკაიას (ლენა) და ხელოვნების დამსახ. მოღვაწის არკადინის (ვაჭარი სემიხოტოვი) თამაში.

ერთადერთი, რაც ფილმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ეს არის ზოგიერთი ეპიზოდისა და სცენების არარეალურად გადაწყვეტა.

ფილმი „უკანასკნელი ღამე" „ჩაპაევის", „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ" და „პარტიული ბილეთის" შემდეგ საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

ნ. ქევლიშვილი

◇

ა ხ ა ლ ი ამ ბ ე ბ ი

○ **საქართველოს მუზეუმი** წელს გამოუშვებს ფერადი ღია ბარათების სერიას „კავკასიის ხალხნი ეროვნულ ტანსაცმელში", სურათები იბეჭდება „გოზნაკის" მოსკოვის სტამბაში.

○ **თბილისში** შენდება ექიმთა საერთო საცხოვრებელი 60 კაცისათვის. მშენებლობა წელს დამთავრდება, რაზედაც დაიხარჯება 250.000 მანეთი.

○ **აფხაზეთის** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა კონ. ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სმინდის რესპუბლიკა", წიგნი თარგმნილია პ. ჭკადუას მიერ, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 2 მანეთად.

○ **[illegible]** შენდება ახალი რაიონული ამბულატორია. მშენებლობისათვის გადადებულია 60.000 მანეთი.

○ **ლიკანში** (ბორჯომი) გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმის მეორე კორპუსი.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 4 აპრილს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტიის მე-14 ყრილობა — ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. რუსულ ენაზე, საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ. რუს. ენაზე, 7 საათზე.

○

— **საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1519449, გაცემული ლაგოდეხის რაიკომის მიერ მათე ვასილის-ძე ერპალევის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

მ. ს. ბაბუშკინი

დამსახურებული მფრინავი, ორდენოსანი.

არქტიკა უკან იხევს*

ჩრდილო პოლუსი აღმოჩენილია. მაგრამ ის აღმოჩენილია, ასე ვთქვათ, სასპორტო თვალსაზრისით. იმიტომ, რომ ჩრდილო პოლუსის ყველა „აღმოჩენა", რაც დღემდე ხდებოდა, მიზნად არ ისახავდა წმინდა მეცნიერულ ამოცანებს.

ჩრდილო პოლუსი არქტიკის მიუვალ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. და ამ მიუვალობით იზიდავდა ის არა მარტო მართლაც მტკიცე და გაბედულ ადამიანთა ყურადღებას, არამედ თავგადასავლის უბრალო მოყვარულებსაც.

უკვე მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად მიაპყრო თავისი ყურადღება ჩრდილოეთით, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სურდათ ენახათ მასში არა ბუნების მრავალი საიდუმლოების ახსნა, არა კაცობრიობის ცოდნის გამდიდრების საშუალება, არამედ უმოკლესი გზა თავისი საქონლისათვის აღმოსავლეთისაკენ — ციმბირში, ჩინეთში, ინდოეთში. იოლი მოგების რაინდები კალიასავით შეესივნენ მაშინ აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყნებს. ისინი ცდილობდნენ აღმოსავლეთისაკენ დაეძრათ თავისი ყაჩაღური გემები არქტიკის ცივი წყლების საშუალებითაც.

ზოგი მათგანი აღარ დაბრუნებულა. არქტიკა შორს იზიდავდა. ისინი, კი, ვინც ახერხებდა უკან დაბრუნებას, არქტიკის შესახებ ათასგვარ უჩვეულო ამბავს მოგვითხრობდნენ.

ჩრდილოეთისა და ჩრდილო პოლუსის შესახებ ბევრი დაიწერა. გამოცემულია მრავალი საინტერესო წიგნი. ცნობილმა ინგლისელმა მოგზაურებმა არტურ პეტმა და ჩარლზ ჯეკმანმა, რომლებმაც მე-16 საუკუნის დამლევს კარსკის ზღვაში მოახერხეს გასვლა, საინტერესო ბარათები დასტოვეს თავისი მოგზაურობის შესახებ. ეს ბარათები იმ დროს სავსებით მეცნიერულ შრომებად ითვლებოდა.

ინგლისელი მოგზაურების შემდეგ კარსკის ზღვაში იუგორსკის შარზე გავლით მივიდნენ ჰოლანდიელები ნაია და ბარენცი. ბერინგის სრუტემდე 1688 წელს გაიარა სამენ დეჟნიოვმა. მანვე აღმოაჩინა მდინარე ანადირის შესართავი.

1738 წელს მოგზაურმა ბერინგმა აღმოაჩინა სრუტე, რომელიც ჩრდილოეთ ოკეანეს აკავშირებს წყნარ ოკეანესთან და რომელსაც შემდეგ მისი სახელი ეწოდა.

მაგრამ მეცნიერება არქტიკის შესახებ ჯერ კიდევ სავალალო მდგომარეობაში იყო და არქტიკა გეოგრაფიულ რუკაზე „თეთრ ლაქად" რჩებოდა. მაგალითად, გასული საუკუნის დამლევამდე მრავალი გეოგრაფი იმ აზრისა იყო, რომ ჩრდილო პოლუსისაკენ მივყავართ ღია საზღვაო გზას. მათ ეს რწმენა არ დაუკარგა არც სკორესბის მოგზაურობამ ჩრდილოეთით, რომელმაც მიაღწია შპიცბერგენიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონს, არც პარის ექსპედიციამ მარხილებით, არც ჩრდილო პოლუსის მიღწევის სხვა ცდამ, რომლებიც მოწმობდნენ მძიმე ყინულების არსებობას ჩრდილოეთ პოლუსის გზაზე.

გასული საუკუნის ცნობილი ექსპედიციები ჩრდილოეთში ფრიტიოფ ნანსენის „ფრამამდე" არქტიკაში პოულობდნენ ახალ-ახალ მიწებს, ადგენდნენ ჩრდილო ოკეანის წყალთა მდინარების რუკებს, მაგრამ ამავე დროს მათ უდავოდ დაამტკიცეს, რომ ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევა საზღვაო გზით არ შეიძლება. ყველა ეს ექსპედიცია უკვე მოაწყეს უშიშარმა, მამაცმა, ადამიანებმა. მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ. მათ არ ეხმარებოდნენ თავიანთ ქვეყნებში, ისინი მოქმედებდნენ საკუთარი რისკით.

ბურჟუაზიამ სისულელედ მონათლა ფ. ნანსენის იდეა ყინულების მოძრაობის შესახებ ჩრდილოეთ ოკეანეში აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ - დასავლეთისაკენ პოლუსზე გავლით და უარი სთქვა დახმარებოდა ამ ექსპედიციას, მაშინ როდესაც ნანსენის იდეა არც ისე შორს იყო ჭეშმარიტებისაგან. ტრაგიკულია მამაცი სედოვის და სხვა რუს პოლარულ მოგზაურთა ბედი, რომლებიც სძულდა მეფის ჟანდარმერიას მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი მამაცები იყვნენ. სედოვი მალე დაივიწყეს. და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცოცხლდა კვლავ ეს უშიშარი გმირი.

1909 წელს, თუ ვიმსჯელებთ ამერიკელი მოგზაურის — პირის მოხსენების მიხედვით, აღმოაჩინეს ჩრდილო პოლუსი. პირიმ, მისი სიტყვით, მიაღწია ჩრდილო პოლუსს. ზოგიერთებს არ სჯეროდათ ეს. მაგრამ თუ პირიმ მართლაც მიაღწია პოლუსს, მისი მოგზაურობის მეცნიერული მნიშვნელობა დიდი არ ყოფილა. ეს იყო მხოლოდ „ამერიკული რეკორდი". მეცნიერება მას არ გაუმდიდრებია. ყოველ შემთხვევაში ამის შემდეგ ადამიანის ფეხი ჩრდილოეთ პოლუსზე არ დადგმულა...

სამჯერ გადაიფრინეს ჩრდილოეთ პოლუსზე საჰაერო გემებმა. ეს იყო თვითმფრინავი ამერიკელი ბერდისა, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრინდა 1926 წლის მაისში. ეს იყო იმავე წლის მაისში დირიჟაბლი „ნორგე", რომლის ბაქანზედაც იმყოფებოდნენ ამუნდსენი და ჩვენი მეცნიერები სამოილოვიჩი და მოლჩანოვი. ეს იყო, ბოლოს, 1928 წელს ნობილის დირიჟაბლი „იტალია", რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა უკან დაბრუნების დროს.

საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩრდილოეთის ათვისებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო არქტიკის დაპყრობის ახალი ერა, დაიწყო გეგმაშეწონილი, სისტემატური შეტევა ჩრდილოეთზე, სადაც თვითეული ნაბიჯი მეცნიერულად გამართლებული და გამიზნული იყო.

აქ უკვე აღარ იყვნენ ცალკე უშიშარი ადამიანები, რომლებიც იძულებული ხდებოდნენ საკუთარი რისკით ემოქმედნათ. ჩვენს ექსპედიციებს აიარაღებდა და გზავნიდა ჩრდილოეთში მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ქვეყანავე ადევნებდა მათ თვალყურს შეუნელებელი ყურადღებითა და სიყვარულით. ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი პირადად ადევნებდა თვალყურს არქტიკის დაპყრობის თვითეულ ნაბიჯს.

შორეულ ჩრილოეთში უკვე შეიჭრა სოციალისტური კულტურა. აგებულია ნავსადგურები, ჰიდრო-სადგურები, ფართოვდება მსოფლიოს ყველაზე ჩრდილო მრეწველობის კერები. პარტიისა და მთავრობის დავალებით მტკიცედ გაკაფულია ჩრდილოეთის დიდი გზა. ეს უდიდესი გამარჯვება მოპოვებულ იქნა მოკლე ვადაში. ეს ნიშნავს ახალი ხანის დაწყებას იაკუტიისა, ჩუკოტკისა და ანადირისათვის, ეს ნიშნავს ახალ ერას ჩრდილოეთის ხალხთა ცხოვრებაში. ეს საშუალებას გვაძლევს სოციალიზმის სამსახურში დავაყენოთ არქტიკის ყველა საწარმოო ძალა — აპატიტი, ფერადი ლითონები, ნავთი, ნახშირი, მარილი, რკინის მადანი, აზბესტი, გრაფიტი და სხვა — ყველა სიმდიდრე, რომლითაც უხვად დააჯილდოვა ბუნებამ ჩრდილოეთი. ისინი უკვე შევიდნენ და შედიან ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო ფონდში.

ჩრდილოეთის ათვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდის გრძელვადიან პროგნოზისთვისაც, რაც ესოდენ აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის. ტყუილად კი არ უწოდებენ არქტიკას „ამინდის სამზარეულოს". მართლაც, აქ ისეთი საჭმელები მზადდება, რომელთა წინააღმდეგაც, თუ ადრე გვეცოდინება მათ შესახებ, შეიძლება მივიღოთ თავდაცვის ყველა ზომა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ატმოსფერული მოვლენანი, რომლებიც შორეულ ჩრდილოეთში ხდება, და ფხიზლად ვადევნოთ მათ თვალი. ამას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება საკოლმეურნეო მინდვრების შემდგომი, კიდევ უფრო მეტი აყვავებისათვის.

ამინდს არქტიკაში თვალყურს ადევნებენ ცალკე მეტეოროლოგიური სადგურები. მაგრამ ჩვენ უფრო შორს უნდა შევიჭრათ ჩრდილოეთში.

საბჭოთა საზოგადოებრიობა უდიდეს ყურადღებას აქცევს არქტიკას. საკმაოა მოვიგონოთ თუგინდ ის ცხოველი გამოხმაურება, რომელიც ჩვენი პრესის ფურცლებზე გამოიწვია საბჭოთა კავშირის გმირის მფრინავ სლეპნიოვის მოთხრობამ „დესანტი პოლუსზე". არქტიკა ყინულის საშინელებათა შორეული ქვეყანა აღარ არის, როგორც ის წინათ გვეჩვენებოდა. არქტიკა მიუვალი ციხე-სიმაგრე აღარ არის. მისი გასაღები ჩვენს ხელშია. ბოლშევიკების მტკიცე ნებისყოფის მძლავრი შეტევით ის უკან იხევს, გვნებდება.

◆

---

*) წერილი დაწერილია და გამოგზავნილია მოსკოვიდან სპეციალურად „კომუნისტისათვის".

რედ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

4-IV	ტრუბადური
5-IV	ქეთო და კოტე

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

4-IV	ალკაზარ
5-IV	ანზორ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

4-IV წარ. № 141	ვერაგობა და სიყვარული
5-IV წარ. № 142	პუშკინის საღამო

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 5-30, 8, 9-30 11	ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი ბეთჰოვენის კონცერტი
დამკვრელი 5-30,7-20,9-20 11	დადგმის მე-2 კვირა ხმოვ. სურათი უკანასკნელი ღამე
კომკავშირელი 5, 7, 9, 11	დადგმის მე-3 თვე ხმ. სურ. დარიკო
რ. ლუქსემბ. 6-30 8,9-30 11	ხმოვანი ფილმი მოგზაურობა არზრუმს
26 კომ. სახ. 6,7-30,9.10 30	ხმოვანი ფილმი ფედკა
ახალი ამბები	ესპანეთის ამბები მე-15 გამომვ. საჩვ. ხელოვნება № 1

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე

ხდება საქართველოს პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების სამმართველოს ბეთანიის დამხმარე მეურნეობის ლიკვიდაცია.

ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები აღნიშნული მეურნეობის მიმართ, უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს ა. წ. 15 აპრილისა მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველო, დამხმარე მეურნეობის ლიკვიდკომს.

დასახელებულ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია განხილული არ იქნება.

საქპროფსაბჭოს დასასვენ. სახლებისა და სანატორიუმების სამმართველო.

111

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3 — 8557